

კაჟა ეტზისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკვარსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 44

2020



მთ. რედაქტორი

**ბილდა სუნიშვილი**  
მწერალი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-851-9 (44 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეშვილების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეში. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-დარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიოსაც, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტვინიანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათოქმეული წავიკითხე, ჩემი ძველი ახრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ვბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგვიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათოქმეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდაული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითვია.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...

კონსიუმი კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველუქავი მისწოლია... მათ იცინან იმ ოქმება დღემდევის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„ბულცოვად უხეველი ყოველ ძეხას, ყოველ კაბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიჟრ

(გაგრძელება)

„...ო, საქართველოვ, დედამიწის მარგალიტო და სამკაულო, ღვთის წილო ქვეყანავ, ღვთის შვილთა სათაყვანებელო და საკითხავო, თუნდაც „იქმენ ნათელი!“ – იკმარებდა ამის ნათელსაყოფად! ღვთის წილი ქვეყნის გამორჩეულ შვილებს როგორ ესმით მშობლისა, გულისგულსა და შენს ნაკვთებში რამდენი რამ ამოკითხულია, რამდენიც კვლავაც მოსაძიებელ-მისაგნები, ამოსაცნობ-ამოსაკიკნი, რომ სრულიად გამოშუქდეს მშობლის ნათელი, თვალ-მარგალიტი, შუქ-ჩრდილიც, საცხოვრის-სალხინებელი!“ (ეგვენი აქუბარდია, მწერალი)

ვაჟა ეგრისელის ლექსები ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ასე მგონია, ლირიკული გმირის თხრობა მძვინვარე ვნებათა მოწოლით გარეთ გამოხეთქავს. თითქოს გაშმაგებასაც შეუპყრია. არავის ეშუღლება



და ეჯიბრება, წერს იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეუძლია...

საქართველოს ძნელბედობითი ისტორიით გაჯერებული ჩვენი ბედის პოეტური ინტერპრეტაციაა ლექსი:

\*

„და აჰა, მცხეთა...“

წამით წარსულის –  
ბნელ ცხრაკლიტულში

ისევ შევედი,  
მესმის ყიჟინა მეცობოვნეთა,  
მესმის ნგრევის ხმა...

ვევირი: ციხეს ვინ აზიანებს?!

– ვესპასიანე!

მტკვარზე ხიდს ვინ დებს,  
მთას ღაშქარი ვინ შეუსია?!

ტამერლანია!


– მეორე კი პომპეუსია!“

ლექსში „ისევ მცხეთასთან“ პოეტის ლირიკული განცდა სულშიჩამწვდომად ჩამოიღვრა:

\*

„...ღუმს ეკლესია...“

ციხე კოშკი...





და გალავანი...  
მტერთან მებრძოლი,  
ღვთისმოსავი არა ჩანს მრევლი,  
მაგრამ ვგრძნობ, – მაინც მითვალთვალებს  
ჩუმი და მკაცრი;  
საუკუნეთა გამბურღავი თვალები –  
საცრის  
და თვალებიდან მარცვალ-მარცვალ  
გაცრილი ცრემლი“.

ეგრისელის ლირიკული ნაწარმოებები გვაძლევს უფლებას ვთქვათ: ჭეშმარიტი მწერლის მოვალეობის შესახებ მას დაკვირვებით, განსაკუთრებულად დინჯად შეუსწავლია ჩვენი თაყვანსაცემი კლასიკოსების ბრძნული მოსაზრებანი, რის გამოც არ გვიკვირს, რომ მათი შთაგონებულად აღქმა-ათვისების მეოხებით გონებაგამჭრიახმა და მაღალნიჭიერმა შემოქმედმა თავისი მრავალტანჯული ქვეყნის დავალებით მშობელი ხალხის სამსახურის აუცილებლობა იქადაგა, აქ უნებურად აკაკი წერეთელი გაგვახსენდება: „მწერლობა ზნეობით და გონებით მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა იხსებოდეს მწერლის თანადროება მისის სისწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებად გადაეცეს მომავალ დროებას და როგორც ის იხატება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მის გულში ჩაჰყურებს,



ისე პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს მოხვედრია. მაშასადამე მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლინებას, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს. რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემოთ მოყვანილ პირობებს“.

ვაჟა ვერისელი კეთილსინდისიერად ასრულებს ერის ზნეობრივი და გონებრივი მესარკის მეტისმეტად ძნელ, მაგრამ დიდმნიშვნელოვან როლს. იგი ხალხის ერთგულია. თავდადებით მსახურია. სწორედ ამის გამო ხალხის ცხოვრების პირმედგარი, პირმართალი, პირნათელი მემატიანის ნაწარმოებებში სწორუტყუვრად და შთამაგონებლად დახატული მშობლიური ქვეყნის ჩრდილ-ნათელიც, რათა ის გაუმრუდებლად აღიქვან თანამედროვეებმაც და დაუმახინჯებლად გადაეცეს მომავალ თაობასაც. მგოსნის სევდიანი, მაგრამ ოპტიმისტური თაფლნარევი სტროფების განსაკუთრებული მიზანია თანამემამულეების გაცნობიერება დედულ-მამულის, ხალხის კეთილდღიანი და კეთილზნეობითი მომავლის დასამკვიდრებლად. მათი დარაზმვა ხელიხელ-ჩაკიდებულად და ურთიერთშეწყობილად შრომისა და ბრძოლისათვის.

დიდი ილია გვასწავლის, რომ მამულისათვის თავდადებულ გმირებს, ჭეშმარიტ პატრიოტებს წარმოშობს და ავაჟკაცებს მრავალტანჯული ხალხის



წიადი. „იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედების აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა, დაბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი ერთ რთულ ურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავის თავს მართლაც და ადამიანად სცნობს, ეგ ცნობა საკუთარი თავისა ღირსებას უღვივებს, საკუთარ თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად, გმირებს, სახელოვან კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას – ეგ შემოქმედებით ძალა ცხოვრებისა ჰბადავს“. – ეს წარუვადი დებულება შეგნებულად შეუსწავლია და მტკიცედ აღუქვამს ვაჟა ეგრისელს, რომლის მხატვრულ ნაწარმოებებში წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთკავშირის, ჰარმონიულის აუცილებლობაა ჩაგვირისტებული.

ვაჟა ეგრისელის ფილიგრანულად კრისტალიზებულ ლექსებს შორის უთუოდ დეთაებრივი სხივითაა გაჩირადღნებული „1907 წელი“.



1907

„დგას ობელისკთან ათასცხრაასშვიდი,  
დამწუხრებული  
და თავდახრილი,  
სახეს სირცხვილის უწვავს აღმური.  
მოველ!  
კვლავ მოველ!  
საწუხარი ჟამი ვიდროვე.  
გამოვიგლოვე ბევრი,  
მაგრამ ეს წიწამური,  
რა ვქნა, ვერაფრით გამოვიგლოვე“.

ის საოცარი ენერგია, რომლითაც ვაჟა ეგვისე-  
ლის სტრიქონებში მამულის სიყვარული იკვეთება,  
ფაქტობრივად ეროვნული თვითშეგნების ენერგიაა.  
აქ პოეტის პოზიცია ნათელია. ილია ჭავჭავაძის  
მკვლევლობამ მთელ ქართველობას მოუშხამა სიცოც-  
ხლე. მათთვის წიწამურის ტრაგედია მარადჟამს მოუ-  
შუშებელი ნაიარევია. პოეტმა გვაგრძნობინა და მძი-  
მედ განგვაცდევინა, რომ წიწამურის საშინელმა ამ-  
ბავმა მეტისმეტად დაამწუხრა ქართველი ხალხი.  
ჭეშმარიტი ქართველების დიდ მწუხარებას გულატი-  
რებული მგოსანი დიდოსტატურად შერჩეული რამდენიმე  
სიტყვის გამოყენებით გამოხატავს მეორე ლექ-  
სით „წიწამურთან“:



\*

„მწუხრი მწუხარე ზარების რეკვით,  
ვითარცა გზირი  
ჩამოდგა სოფლად  
და გაიღურსა, –  
გზას მიაპყრო თვალები სველი;  
მერე როდესაც წიწამურთან იქუხა თოფმა,  
შეკრთა...  
და გულზე საქართველომ  
იტაცა ხელი“.

ვაჟა ეგრისელს აქვს პოეტური ცნობიერების, მრავალთა შორის ერთი საიდუმლო, რაც მის ლექსსა და სიტყვას განასხვავებს ყველა „სამკაულიანი“ სიტყვისაგან. ესაა ისტორიული ცნობიერების მძაფრი სიმახვილე. მან როგორც პოეტმა გამოძეწა მართლმადიდებელი პოეტის ხატი. ზემოთ მოტანილ ლირიკულ ნაწარმოებებში სულის სიდრმემდე ჩამწვდომი გრძნობითაა გადმოცემული ქართველი ხალხის დიდი შვილის მოულოდნელი დაღუპვა. ამ გულსაკლავი, უმწარესი ისტორიის და მისი ბრძენი ჭირისუფლის უკუღმართი ბედის შესახებ. რაც ამ სტრიქონებშია დაშიფრული, იქნებ ტომებმაც ვერ დაიტიოს, ვერაფერს იტყვი. ასეთია ჭეშმარიტი პოეზიის მოუხელოთებელი მაგიის ყოვლისშემძლეობა. უსაშინლესი ისტორიული თარიღის ასე ლაკონურად გამო-



ხატვა პოეტის დიდი ოსტატობის ნათელი ილუსტრაციაა და მაინც ისტორია აქ აწმყოსთან გაზავებული, კვანძად ქცეული, შექცევადი და ამდენად, რეალობის მამოძრავებელი და დრამატული პროცესია.

გულმართალი პოეტი მეტისმეტად დაღონებულია 1907 წლის აგვისტოს საშინელი ტრაგედიით, რომ მას იგი ადარებს გადამთიელს მუხანათებთან უთანასწორო ბრძოლაში სასტიკად დამარცხებას, რომელიც დღემდე არ დაუვიწყებია ქართველ ხალხს, რომ:

\*

„საგურამოსთან –

თოფმა იქუხა

და მეყვსეულად

კვლავ შემიშინა, –

დიდი ილიას კარმიდამო

და საბრძანისი.

და... საქართველოს წიწამურთან –

ესმა კრწანისი,

ვითარც მარადი სევდის ყიჟინა“. –

ამბობს პოეტი და ძალუმაღ ვგრძნობთ წიწამურის ტრაგედიას, რომელიც ქართველი ხალხის თაობიდან თაობას გადაეცემა ჩვენი სვეგამწარებული



ქვეყნის მძიმე წარსულის მოსაგონებლად. კეთილგონივრული დასკვნების გასაკეთებლად.

ილიას „გოლგოთას გზაზე“ ჩასაფრებულმა მესამე დასვლებმა მოუსწრაფეს ერისათვის კურთხეული სიცოცხლე – მერე და ვის?! ქართული ლიტერატურის კლასიკოსს, პოეტს, დრამატურგს, პუბლიცისტს, დიდ საზოგადო მოღვაწეს, ორატორის ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელს, მამულის უბადლო მოყვარულს, დიდი უბედურება იყო ქართველი ერისათვის ილიას სიკვდილი. რადგან მიწაზე დაენარცხა მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა.

„...მშვიდობით, ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენი ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით. ერთი გზით დავდიოდით. ახლარა საძნელოა ჩემთვის უშენოდ მარტოდ დარჩენა, დაობლება! შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები; ხოლო თუ სასიკვდილოა, ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვერ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოდრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხ-



ვევიან გარს... და ვინ იცის, ეგებ სიკვდილით მაინც განიმტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას, სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!  
და ნუ მეტყვიით რაც არ მჯერა!  
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა,  
საქართველოს ბედისწერა?!“

საქართველოს ბუღბუღმა – აკაკი წერეთელმა ასე გულმღუღარედ დაიტირა დიდი ილია. დიდმა ვაჟა ფშაველამ ილიას საფლავზე წარმოთქვა: „დიდო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს შენი დიდებული ნეშტის წინაშე, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავხართ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მადლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენ მიერ ნაანდერძევ იდეალებს – ძმობას, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკლად. ვიცი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს და სხვა გამირებთან ერთად დაჰხედავს თავის სამშობლოს... მშვიდობით, საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, დიდებულო ადამიანო!

„სადირკვლად აზრი ჩააგდე,  
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი;



...მოგკალით ჩვენისვე ხელით,  
მოძმეთთვის ნაჭირმაგარი.  
...ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს,  
თავზე დაგვჩხავის ყორანი;  
გაღმა გასვლისა მსურველთა  
უკუღმა მიგვყავს ბორანი;  
გაგვიბატონდა, მგოსანო,  
სირეგვენე შეუწონარი“.

„თქვენ ტყვია ესროლეთ არა ილიას, არამედ მთელ ერს“ – აცხადებდა იროდიონ ევდოშვილი, ილიას დაკრძალვაზე ბათუმიდან გამოგზავნილ ვერცხლის გვირგვინს კი ეწერა: „მაგ სიკვდილით დაობლდა ერი“.

ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილი მეოცე საუკუნის დასაწყისის სავალალო ისტორიული ფურცელია. მაგრამ მისი შესხენება დღეისათვისაც ალბათ, საჭიროა, რადგან ერი კვლავ განსაცდელში აღმოჩნდა და ლამის ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მივიდა. დღესაც იგი თითქოს ბეწვის ხიდზე გასასვლელადაა შემდგარი და, ღმერთმა ნუ ქნას, ეს ბეწვის ხიდი ჩატყდეს...

ამიტომაც ძლიერია ვაჟა ვერისელის სულის ტკივილი. ძლიერია პროეტის მიზანი. ილიას მკვლელობა გვაგრძნობინებს იმ განსაცდელს, იმ კატაკლიზმებს, რაც მოახლოებულმა საუკუნემ შეუქმნა



ჩვენს ერს, მთელ ქართველობას. ილიასადმი მიძღვნილი პოეტის ლექსები აღძრავენ ცრემლიან ტკივილს, ფიქრებს ბედგამწარებულ წარსულზე.

ილია ჭავჭავაძის გულწრფელი სიყვარული, ხალხის მტრების უსაზღვრო სიძულვილი, გულის მომკვლელი ისტორიული ეპიზოდი გონებანათელმა პოეტმა ფაქიზად დახატა ლექსში „გვიმზერს წარსული“.

\*

„ქართლის ციდან რომ დაგვეკამყამებს  
ცისკრის ვარსკვლავი,  
ვარსკვლავი არა,  
სული გახლავთ  
დიდი პოე-

ტის.

ამაღლებული და ცად ასული,  
რომელმაც სიკვდილს ის აარიდა.  
და ახლაც თვალში უსირცხვილოდ გვიმზერს  
წარსული,  
ილიას შუბლის ნატყვიარიდან“.

ილიასადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი დიდბუნებოვნად გემოდღვრავს: ჭრილობა მოუშუშებელია, რის გამოც აუცილებელიცაა, სავალდებულოც მტრების მიმართ გულზვიადობა და მათ წინააღმდეგ



გულდაუდრეკად ბრძოლა. ესაა სიმშვიდე დაკარგული, სიტყვამართალი პოეტის დამაფიქრებელი მრწამსი.

პოეტი დატვირთულია ცხოვრებისა და სახეების სიჭარბით. ამიტომაც მზადაა ისარგებლოს თავში გაელვებული პირველივე აზრით, რათა მისგან გათავისუფლდეს.

ლექსი „ხმა წიწამურთან“ საყურადღებოა იმით, რომ მღელვარე ფიქრებს იწვევს.

\*

„საქართველოს მთად და ბარად  
ფიქრი ჩემი,  
ვით გავაზი –  
ქროდა...“

და მზით დავიტვირთე.  
შუბლში ტყვია მითავაზეს,  
მამულისთვის ჯვარის მტვირთველს“.

პოეტი ერთ-ერთ ლექსში მიუთითებს, რომ წიწამურის ტრაგედია უკვალოდ არ გამქრალა. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსებშია აწმყოს მიზეზები. განჭვრეტილია მოვლენათა ისტორიული კავშირი და მაინც პოეტისათვის პირველადია მამული, საქართველო!



\*

„საუკუნეა წიწამურს,  
ილიას შუბლზე ნასროლი  
ტყვისგან შავად დარჩენილ –  
კვამლის აცვია სამოსი.  
და,  
საქართველოს რომ ტკივა,  
ტკივილი საგურამოსი“.

ამ ლექსში, ყოველი სტრიქონი ამაღლებულია და ტრაგიკულად დაგვირგვინებული, ფსიქოლოგიურად ახალია და პოეტურად მოულოდნელი. ლექსის მხატვრულ ქსოვილში შეინიშნება ისტორიული ქვეტექსტი, რომელიც არღვევს ლირიკული სიუჟეტის ფარგლებს და აფართოებს პოეტური სახეების სიდიადეს.

ვაჟა ვერისელისათვის ლექსი არა მხოლოდ თვითგამოსატვის, არამედ მკითხველთან საუბრის და კიდევ უფრო მეტად მისი აღფრთოვანების, შთაგონების, სულიერი აღზევებია საშუალებაა. სიტყვის სინედლე და მოქნილობა მას თან მოჰყვა, რადგან თავისი ბუნებით ის სიცოცხლის, მიწის და ცის, მზის და მთვარის, ამქვეყნიური მშვენიერების განუმეორებელი მესობტება. მისი პოეზია ამქვეყნად სიცოცხლის განმტკიცებაა, დედამიწის სამკაული და ადამიანის სულის ღიმილია.



\*

„ვაჟა ეგრისელის ლექსები ერთობლიობაში საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე დაწერილი ჰიმნია. ერთ ძარღვზე ასხმული ეროვნული გიგანტური პოემაა. აზრით და ფიქრით ნაშენები ციხე-სიმაგრეა და მას უამთასვლა ვერაფერს დააკლებს“.

ბადრი სალუქვაძე,  
პროფესორი.

\*

„ვაჟა ეგრისელი ლექსის მეწყერად“ კი არა, ლექსების წარღვნად მოეგლინა სამყაროს“...

შოთა თეთვაძე,  
აკადემიკოსი.

\*

„ვაჟა ეგრისელის საოცარმა ლექსებმა ბევრი საფიქრალი გაუჩინა ხელმოცარულ პოეტებს“...

ოთარ სახეიშვილი  
მეცნიერი, პოეტი.

დიდბუნებოვან მამულიშვილს, საქართველოს ერთ-ერთ გამორჩენილ პოეტს. ალიო მირხულაგა-მაშაშვილს – (საყვარელ ბიძას) ვაჟა ეგრისელმა უძღვნა სახოტბო ნაწარმოები „ლოდინი“:



\*

„ჭალა მოგავს დავიწყებულ ამბავს,  
წყლისპირს ძეწნებს დაუხრიათ თავი,  
ძილში ისმენს მწოლიარე დამბა –  
ხობისწყალის და წარსულის ბღავიღს.  
ჩუმად დადის მოგონების ჰიდრა,  
დაშრიალებს ჭავლი, როგორც ლელი,  
ფხიზლობს ხორვა, რა ქნას

თავის მკვიდრი –

მგოსნის ძახილს...

და ფეხის ხმას ელის“.

ამ ლექსში პოეტის ჰუმანისტური ოპტიმიზმი გაცხადდა. მეტყველების სიმბოლურობაში ვლინდება პოეტური ხელწერის არსი. პოეტის თავისებურება სიტყვით ტკივილის განცდისა და სიტყვის ახალი სემანტიკურ ემოციური იერით დატვირთვაში იჩენს თავს. ინტერესის, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სიტყვების გამოყენებით ეყრდნობა მსგავსებას, შედარებას, ანალოგს. ვაჟა ეგრისელმა მომხიბვლელად დაგვიხატა მგოსნის მომლოდინე მშობლიური სოფელი, რომელთათვის საყვარელი პოეტის ხორვაში ჩასვლა დიდი სიხარულია და სოფელიც ფხიზლობს „ელის მკვიდრი მგოსნის ძახილს და ფეხის ხმას“. პოეტმა გვაგარძნობინა ხორველების გულის წადილი. მათთვის ზეიმი საყვარელი პოეტის ხორვაში ჩას-



ვლა, რადგანაც ალიო მირცხულავას მშობლიურ სოფელთან ტკბილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

მადლიერი სოფელი სათუთად ელოლიაგება თავის დიდბუნებოვან შვილს, განსაკუთრებულ პატივს სცემს მის ღვთითმომადლებულ ნიჭს, რადგანაც იგი ტკბილქართულ ენას აკენესებდა, რათა ღრმად გააზრებული სტრიქონები დაეგვირისტებინა და ხალხისთვის შთაენერგა კეთილმოქმედების, შრომისმოყვარეობის, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის აუცილებლობა.

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ვერისელის პოეზიაზე)*

*გავრძელება შემდეგ ტომში*



\*\*\*

თავს დაჰბრუნავდა უამთა სამუმი  
და დაჰკიოდა აგად არავი\*  
კოლხეთს და... ახლა  
ბრძოლით დაღლილი  
წევს და სასთუმლად უდევს  
შვიდი ათასწლეული  
და ტკბილი ძილით სძინავს საღათის,  
რომ გაადვიდოს არ ჩანს არავინ.

1961

---

\* არავი – სამხრეთის ქარი

\*\*\*

აყვავებული ღამის სიზმრებით,  
ციმციმ დაგტოვე მთვარის  
აკვანი  
და სიყვარულის კლდეზე დავები.  
მერე ვილოცე  
და ვეთაყვანე –  
ცას მარადიულს...  
და ცეცხლს ღვთაებრივს.

1960



\*\*\*

აღბათ ტიტანი ბრაზობდა,  
მთებს ძრავდა ხმა –  
გამყივარი.  
და ცისკენ ხელებს იწვდიდა,  
ამოხეთქილი მიწიდან –  
მიცვალებულთა სულები  
თუ... შადრევანი მყინვარის.

2001



\*\*\*

გზებით და ბილიკებით  
და ბინდისფერი ბონდით –  
ათასწლეულები გაიპარა.  
მაინც მზეს ვუნთებ ჭყონდიდს,  
ვით ჩემს შორეულ –  
წარმართ წინაპარს.

1960



\*\*\*

გზა შორია და მარადიული,  
ვაჰ,  
თუ  
იქ მისვლა დაგვაგვიანდა:  
გველის, ვინც შოთას ჩანგმა ადიდა.  
აღარ ისვენებს და  
დღე-ნიადაგ,  
გვიქნევს და გვიქნევს სინათლის ტოტს –  
ცივ წყვლიადიდან.

2000



\*\*\*

მითებით და ლეგენდებით –  
ისტორია გადაძოვს,  
მეოტიის ტბის  
ღურჯ ნაპირს,  
ვხედავ კოლხი ამაზონი  
ვით აძოვებს  
თეთრ ხარს – აპისს.

1965



\*\*\*

პოეტი და დიდი ბავშვი,  
იმ სამოთხის ედემ-ბაღში,  
თუ არა შენ,  
ვინ ივლიდა.  
თუმც ცამ ღამე დაგარისხა,  
მაინც მესმის –  
ადამის ხმა,  
წარღვნიდან თუ ბიბლიიდან.

1958



## კოლ კლოდელი

მე ისევ,  
ისე ვარ საფრანგეთი –  
მესმის,  
ამაყად ამბობს კლოდელი.  
და მე ვპასუხობ:  
უპოვარი და უსახლკარო,  
მე ვარ სამყარო,  
სამშობლოა – ჩემი მოდელი.

1960



\*\*\*

წამით ანთებულ ღამის წყვლიადში,  
ეჰა,  
სიცოცხლე როგორ გაძვირდა,  
რადგან დღეებმა ჯურღმულში ბეკნეს.  
თუმც მზით დახურულ  
ცის ლურჯ ტაძრიდან,  
მარადისობის ზარები რეკენ...

1968



## ფენიქსივით მოფრინდები

როცა უამთან შენივთდები,  
გზას დაკეცავ –  
წინ რომ გიძევს  
და როს გაშლი ფრთებს მითების,  
მაშინ შორი წარსულიდან –  
ფენიქსივით მოფრინდები  
და ფერფლიდან გაიღვიძებ.

2004



## ენგურთან

ენგურთან “დავლურს” უელიან:

ოვსნი,

“აფხაზნი”,

ლეკები.

და საფლავეებზე ტუია,

წუხილად კვლავ ირეკება.

ვაჰ, რა საზარლად ყმუიან

აღგეთს გაზრდილი ლეკვები.

1993



\*\*\*

ლეგენდები, როგორც დაღის,  
ცას სიბნელის  
თმებს შეჭრიან  
და ჩაქრება მოვარის კერა.  
დღე კი ღამეს –  
ქერეჭიანს,  
იცვლის, როგორც გველი პერანგს.

1970



\*\*\*

ცა გაქვს მოვლილი...  
და ახლა, ვით ალიგიერი,  
ქვესკნელს უსინჯავ ფერსა  
და გემოს,  
რომ მიატოვო არ გემეტება.  
სამყარო თურმე,  
ვით წყლის წვეთები,  
ჰგვანან ერთმანეთს ზემო და ქვემო.

1997



\*\*\*

ვარსკვლავების დელავს ტბები  
და იღვრება ოქროსფერად.

შავი ღამის არ ჩანს ძირი,  
რადგან გიჟმა კომეტებმა  
ცა დამეწერეს...

და ჩაძირეს.

1966



\*\*\*

მიმოყრილ ქვებზე საუკუნეთა,  
ხსოვნის მახვილი  
ისევ ავლესე  
და კვლავ მივკაფავ ისტორიის  
წყვილიად უღრანებს:  
ოქროს საწმისით –  
თავს იწონებს ველი არესის,  
ფაზისს ჩასცქერის პირმცინარე  
ბაღი ჰეკატეს,  
სხვა არრა მოჩანს,  
რადგან წლები  
კარებს კეტავენ.

1963



## უიტმენი და თაგორი

დამის წყვდიაღში როცა ინათებს,

ვჭკვრებ:

ორი ბრძენი და გოლიათი –

უიტმენი და თაგორი.

ნისლიან გზაზე მარადისობის –

საუკუნეებს,

ვით მიაგორებს.

1970



\*\*\*

ღრუბლების ჯოგის ისმის  
ყოყინი,  
გადაჩაღული ცა ჰგავს –  
ნაყანევს.

წყვდიადის ფსკერზე ყრია მნათობნი.  
ნაპირთან ზვირთთა ისმის  
ყაყანი,  
ნეტავი ცხარედ, რას კამათობენ?!

1962



\*\*\*

გადაუქროლებს საუკუნეებს –  
შენეული სიტყვის სამუმი,  
როცა ყველაზე დიდი  
ფანტომი,  
სიცოცხლე არა,  
სიკვდილი რომ  
მიგვატოვებს.

2003



\*\*\*

ბადრის,  
უსუპის და ამირანის –  
სამი ძმის,  
სამი დეკაციის დარად,  
შევეურებ უშბას,  
თეთნულდს და შხარას,  
როგორც კოლხეთის უძილო ებგურთ,  
რომლებიც ცისკენ  
ილტვიან ერთფრად.  
ასევე ხობოსს,  
ფაზისს და ენგურს,  
ვჭკვრებ, ვითა ნილოსს,  
ტივროსს და ევფრატს.

1963



\*\*\*

მიაქროლებენ მათა ხომალდებს  
ღრუბლები –  
თეთრი აფრიანები  
და მესის ხმაზე ხშირად კრთებიან.  
წყვილადში მსხდარი ვარსკვლავები –  
ტიტანებია,  
დამით თვალებს რომ აბრიალებენ.

1959



\*\*\*

ღამეებივით შავი მწვერები,  
თეთრი დღეების სდევენ  
ნაკვალევს  
და აშინებენ შორ წარსულში  
მსხდარ ბნელ ფანტომებს.  
შიშველი ელვა ცად დაკანკალებს,  
აწუხებს სივრცე  
და სიმარტოვე.

1967



\*\*\*

ურარტუელ ხელმწიფის –  
დიდი სარდურ მეორის  
სპამ,  
გზა პონტოს განლიეს,  
ამას “მეფე სამოცი”,  
ამცნობს მუხლმოდრეკილი  
“კუტაიელ აიეტს”.

1971



\*\*\*

ზღვის და ქაოსის ესმა ძახილი  
მოკვდავს და...

თვალი როს გაახილა,  
ვერ ჰპოვა ვერსად ფეხდასადგამი.  
მირიადობით წლების ტალღამ  
ბეერი არწია,  
და მერე ბოლოს –  
მოდგმამ ადამის  
ჩემს კოლხეთამდე შემოაღწია.

1967



\*\*\*

მსურს პირისპირ შევეყარო,

მაგრამ თვალიც

ვერ მოგკარი.

ვასტანგ მეფე, ვით შაჰ-კავადს,

მე ჩემს სიკვდილს

მოსაკლავად

დავსდევ-

მაგრამ ვერ მოგკალი.

2001



\*\*\*

ტაღების უროს სცემდა უღმერთოდ,  
განრისხებული კლდეებს

ათონთან –

ზღვა მიჯაჭვული, როგორც აბრსკილი.  
მიწას სიშორის წყვედიადს

ათოვდა

ცა –

ვარსკვლავებით თვალებდავსილი.

1962





\*\*\*

თუ პოეზიის ქედები,  
ვით მოყმემ  
ვეღარ დავლახე, –  
შევეცოდები წალენჯიხელს,  
ფშაველს,  
თელაველს,  
მერე ჩემს საფლავს შეესევა –  
ურდო ბალახის  
და შიშველ ფეხით გადათელავენ.

2001



## ჰომეროს და პინდარეს

რაც დრო გადის, მით უფრო  
ნისლში პრეისტორიის –  
    იძირება კოლხეთი...  
მაგრამ გამოიდარებს  
და უამი კვერს დაუკრავს  
    ჰომეროსს და პინდარეს.

1964



ათი ცა

ვარსკვლავების სიშორე  
ცვივა ურიცხვ წამებად,  
ბნელიც არის,  
მნათიცა –  
სამეუფო სამების,  
შვიდი არა,  
ათი ცა.

1968



## ქარიატულ ქარიტებს

ამქვეყნიურ ქაოსში –  
მოსვლის დღიდან  
ვერიე,  
მიტომ თვალს ვერ ვარიდებ,  
ულამაზეს ფერიებს –  
ქარიატულ ქარიტებს.

1963



\*\*\*

ჩემო,  
რაც “მოვინადირე”,  
ვტოვებ მხოლოდ შენს  
იმედად.  
გულს მიკლავს დარდი ფარული,  
რომ მეც სხვებივით  
დავჯერდი,  
“ხოცვას ნადირთა მცირეთა”,  
და მივალ ხელმოცარული.

2004



## მთები და მდინარეები

აღმოსავლით,  
დასავლით,  
დიდი მთები რომ დგანან,  
განა მართლა მთებია,  
ჩვენი წინაპრებია –  
მთებად წამომართული.  
და ეს მდინარეები –  
მათი ლურჯი ძარღვია,  
საიდანაც იქცევა –  
ჩვენში სისხლი ქართული.

1994



კოლხეთის პირველი მეფე ფიხუნია

ათასწლეულების იქით –  
ფიქრით ისევ მივიჩქარი,  
მსურს კოლხეთში რომ  
დამიხვდეს –  
ქვიშასავით ურიცხვ ჯარით,  
მორჭმით ოქროს ტახტზე  
მჯდარი,  
მეფე ფიხუნია –  
ფიხტე.

1981



\*\*\*

სანაპიროზე,  
საიდანდაც ამოვარდნილი,  
ფრთადაძენილი ქარი იწივლებს.  
და ფარავს სივრცეს შიშნაკრავი  
ღრუბლის პროფილი.  
მოუხმობს ტალღებს,  
როგორც წიწილებს,  
დედა კრუხივით –  
ზღვა გაფოფრილი.

1964



\*\*\*

მხრებზე აყრია მტვრად და  
არაფრად,  
გადავიწყება მირიადი  
ათასწლეულის  
და აღარ უღირს მიწა ჩირადაც.  
მწუხრის ბილიკზე მიდის ღამე  
მკერდაწეული  
და ვარსკვლავების ანთებს  
ჩირაღდანს.

1979



\*\*\*

“მაღალი და მაღლა მხედი”,  
ჩამოთოვა მწვერვალები.  
სიძულვილმა კვლავ აავსო,  
სიყვარულით სავსე პინი.  
შენმა სიტყვის ელვარებამ,  
ბევრს წაართვა თვალის  
ჩინი.

2000



\*\*\*

კოლხეთის ცის აივანზე –  
გადმომდგარი მზე მაშინაც,  
ვითარც ახლა, დაჰყურებდა  
ზღვას და ღელვას...

და ყულეუთან...  
არავინ იცის, თუ რა მოხდა,  
ნასახლარი ყრია ოხრად,  
ჩემი დიდი წინაპრების –  
ტაოხთა და დიაოხთა.

1964



\*\*\*

მამულო!

ვით ახალ წელს,  
ქვევრი გქონდეს ტევადი  
და მე ისევ მოგივლენ –  
ფეხბედნიერ მეფეხედ:  
“დევის თვალს” და “მტევან დიდს”  
“ხე-ვარდულს” და  
“მეფე ხეს” \*.

1969

---

\* ვახის ჯიშები



**როდესაც ვღებდით წმინდა  
ცოტნეს ტაძრის ბალავარს**

მეუფე გრიგოლს  
გია დარჯანის  
მამუკა ჩხაიძეს

ღმერთს და განგებას ვთხოვდით  
შეწვენას,  
ლოცვა-კურთხევით ღამენათევი  
მრეკლი და ყველა უფლის მსახური.  
უცებ იელვა...  
და წმინდანის ტაძრის ბალავარს –  
თავზე დაადგა უფლის ნათელი,  
ვითარცა მადლი –  
ცისარტყელად გამოსახული.

2001

\*\*\*

პოეტობა რომ დავიბრალე,  
ნიადაგ,  
სულ ვწუხვარ ამაზე.  
წერეთელივით მეც ვიბარებ:  
რომ ერთი ლექსიც  
არ მაქვს ღამაზი,  
ყველა კოჭლია და ხეიბარი.

1999



## წინაპრის ღანდი

მოფარებია ცას და სიშორეს –  
წინაპრის ღანდი,  
ვით ასპიროზი.  
არ ჩანს სასპერი,  
აღარც მოსხი  
და არც ტაოხი.  
მხოლოდღა პონტო ტაღღებს ანთებს  
სანაპიროზე,  
იმათ ჭმუნვარე სულის საოხად.

1962



\*\*\*

გამოენთება ღრუბელს –  
ღრუბელი,  
მესთა-ტეხით და ჭექა-ქუხილით  
და ღრმად ჩაძირავს მთვარის  
სეინერს.  
ტალღა შემდგარი ქარიშხალის  
მაღალ ქუსლებზე,  
სანაპიროზე თმაგაშლილი ჩაისეირნებს.

1969



\*\*\*

ჯერ არ აცვია პონტოს შავეები,  
ჯერ კოლხეთს დასცქერს

ზეცა კრიალა

და აღარა ჩანს ღრუბლის ნასახი.

ცას ტორებს სცემენ ჰელიოსის –

ცეცხლის მერნები.

უნანავებენ აიეტის ოქროს სასახლეს –

ზეთისხილის ტოტს,

მომქუხარე რძის შადრევნები.

ჯერ აღარ ისმის ფრიქსეს მფრინავ

ვერძის

ბღავილი;

და არც პრომეთეს სისხლის წვეთიდან –

არ ამოსულა ჯერ მედეას

ჯადო ყვავილი.

1962

## ევას ხმა არის

დილაძე

რომ არ ქრება მთიები,  
ცად ანთებული –  
წინაპართა არის კერები.  
ოქრორეული დილის საარი,  
რომ გვინანავებს და გვეფერება,  
მარადიული ჩვენი დედის –  
ევას ხმა არის.

1959



## ზოთუი

თვალი მოკარი როდესაც,  
წმინდანის ტაძრის ბალავარს,  
ხსოვნამ უეცრად გაკვესა  
წარსულში და მე ანისთან –  
მომესმა ოხვრა და კვნესა.  
და... ცოტნე, ჯერ იქ არ ჩანდა,  
          იდგა წყვდიადი ღამისა.  
მხოლოდ ისმოდა ფლოქეთა ხმა –  
დათრგუნვად კვლავ სატანისა.

2000



\*\*\*

სინათლის ტორებს სცემენ სივრცეებს  
და ჭიხვინებენ მარადისობას  
ფაფარაშლილი ვარსკვლავების  
ოქროს კვიცები.

ცივი კივილი მესმის მთვარიდან:

– მიწად კი არა,

საქართველოს ზეცად იქცევი.

1967



\*\*\*

ქალწულებივით აშოლტილები  
დგანან ხეები,  
თავს დასტრიალებთ  
გაზაფხულის მწვანე მონსტრები,  
კვირტებში ჟონავს  
მოდგმა ჯაგების:  
– რაღა ვქნათ! ჩვენი დღე და  
მოსწრება,  
ულრან ტყედ ქცევის ფიქრთა მაღალ  
ტაძრებს ვაგებდით.

1981



\*\*\*

აქ,

თვალახელილ ცას და სამყაროს –  
ხმობილს ტაოხად,

დიაოხად,

კოლხად,

კოლხეთად,

აწ, შორს მიმავალთ,

წამით უნდათ უკან მოხედვა,

მაგრამ ისინი დავიწყებამ დაისაკუთრა.

და მიტომაა საწყლებს

შავი ზღვა –

ჭიქა-წყალივით უდგათ საკურთხად.

1963



\*\*\*

– ხართ თუ აღარა,  
რომ არ დაგხედოთ,  
კვირაში ერთხელ მამადავითთან,  
არ შემიძლია...  
აღარ ძალმიძს მე მედიუმად  
დგომა,  
თუმც ზოგჯერ თქვენთან  
მუდმივად,  
ყოფნის უსაზღვრო შიში ამიტანს.

1987



\*\*\*

მაღალ მთებიდან ჩამოტანილი,  
ლურჯი რიონი,  
ვით ბირდაბირი,  
ხელში უჭირავს ფოთს და ყულევსაც  
და ზღვას ნიადაგ კლდოვან  
ნაპირით,  
ზვირთთა დაცვეთილ კბილებს ულევსავს.

1959



**იანონი “კუტაიაში”**

ღიად დარჩენილ ფიქრის სარკმლიდან  
ექვრეც:

მიღმა სამი ათასწლეულის,  
ჰეკატეს ბადის მზიან ბუჩქებთან,  
ქურდულად უცხო ლანდი ჩაივლის.  
წამსვე კოლხეთში გაიფურჩქნება –  
ღალატისფერი ჯადო-ყვავილი.

1962



\*\*\*

ღელვის მინდვრები გადიბალახა –  
ქარმა ზვირთების  
სავსე ჯიქნებით  
და სივრცეები გადალილავენ.  
ღრუბლები ცეცხლის  
მახვილს იქნევენ,  
ზღვის ოხვრა ისმის მერე დილამდე.

1992



\*\*\*

არა,  
არ შევეყრი ცასა და მილეთს,  
გარეშე დიდი აურზაურის,  
ერთს შემოვძახებ სვანურად  
“ლილეს”,  
მერე “საერთოს” ავიღებ ბილეთს  
და წავალ იქით –  
სამოგზაუროდ...

2004



\*\*\*

ჯეკეს წინ დამბა სურს გადალახოს  
და ხობისწყალი  
ნაპირთან დაობს.  
გალხვა, ზამთარში რაც გაიყინა.  
და ჩემი სოფლის  
ჭანჭყესა და ჭაობს,  
ასხია ბაყაყების ყიყინი.

1961



## დავითფერული

ვითარც დავითი,  
გამარჯვებას იყო ჩვეული,  
დიდგორს,  
მარაბდას იყო წვეული,  
რადგან დრო იდგა უამური და უფერული,  
ფხას უსინჯავდა უამრავი,  
მას ასწლეული, –  
სად არის ხმალი! –  
პირმცინარე “დავითფერული”,  
ფიცხელ ომში რომ შედიოდა თავაწეული.

1993



\*\*\*

ცის ბუნავისკენ მიძუნძულებენ –  
ღრუბლები ჰგვანან  
მურა დათუნებს.

მიიზღაზნება სადღაც ზვირთთა ჯოგი –  
ოჩნების.

და როცა ქარი თავზე ხელებს  
წაუთათუნებს,

ზღვა მამალივით აიქოჩრება.

1968



## შატილი

ბათერეკ ჭინჭარაულის  
ხმა,  
მთებს,  
ვით ელვა ჩაუვლის:  
რომ “თეთრი დათვის” ტორს ელის,  
“თბილად” ნაგები “აული” –  
/ ციხე-სიმაგრე შატილის /  
მაგრამ უკან არ იხევენ  
და შატილიონს დასტირის:  
“ანატორელთა კოშკები”,  
“ჯილაბაურთა” ციხენი.

1992



\*\*\*

სიხუმე და სიმარტოვე –  
ათოვს ქედებს  
და მწვერვალებს...  
მცვიან მთიებს ცა – აგრილებს.  
ზამთრის თეთრ თავს  
თებერვალი,  
ჩუმად აცვამს შავ მარგილებს.

1963



\*\*\*

სულმოუთქმელად,  
რომ შესვა მიმწუხრმა,  
ცის ქვაბი სინათლით ივსება.  
წუხს ორი ვარსკვლავი,  
ვით ღვილ-მაჯნუნი.  
და ჩუმად იფენენ  
საფენებს ნისლების  
მთები-ბილიკებით სახე დახანჯლული.

1968



\*\*\*

“უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს  
ცის კამარაზე”...  
გალაკტიონი.

აღმოსავლეთით ცის ლურჯ ტატნობზე,  
ცისკრის ვარსკვლავი  
როდესაც მიქრა,  
წამსვე მზის გულის მომესმა ფეთქვა,  
გავუზიარე დიდ მნათობს ფიქრი:  
რა შესძლებია სიყვარულს –  
მეთქი.

1981



\*\*\*

თიბათვის დამეა თოვლივით ქათქათა,  
ისეთი,

წინაპრებს რომ უხილავთ.  
და დგება მინდვრებზე ზვინებად  
მთიბლური.

ცა-ვარსკვლავების წიწილებით,  
მთვარის გალუულ პალოზეა  
მიბმული.

1982



\*\*\*

შოთრეულ,  
    მზის გულა დილაძდე,  
შარაა სწორი და პირდაპირი,  
ელვად რომ მივიდეს ყოფნის წამი.  
მამლები,  
    გზის პირ მდგარ  
    სოფლის ღამეს,  
ხერხავენ ყივილის ბირდაბირით.

1959



\*\*\*

ქართველების ერთად ყოფნის,  
კვლავ მუქდება ცა –  
სურვილთა,  
რაც ჩემს ხვალის დღეს აშინებს.  
თუმც მამესმის  
კოლხეთის დიდ წარსულიდან –  
საქართველოს ლაჟვარდ ცისკენ  
მომფრინავი –  
ფენიქსის ფრთების ტყლაშუნი.

1992



\*\*\*

ასე იყო ათასი წლის წინათაც.  
დედამიწას გუელს უშლიდა  
ცა-ნისლად  
და ნიადაგ შენში ცოდვა გმინავდა,  
სხვისი არა,  
ძმის მკვლეელი კაენისა.  
არ გასვენებს ახლაც ზღვათა  
ბინადარს  
ბედი მისი... მზის და ოკეანისა.

2001



## ადგას ნათელი

მზისებრ ბრწყინავი,  
საქართველოს ცის კაბადონზე,  
ვითარცა ქუჯი და ფარნავაზი  
გმირი ბევრია –  
სამშობლოს ბედზე დამენათევი.  
და...  
მარტო კოლხეთის კი არა და..  
მთელ იბერიას,  
წმინდანი ცოტნე აღმსარებლის ადგას  
ნათელი.

1996



\*\*\*

მიმოვანტავენ ნაცარს ღრუბლების,  
რომ გამოაცხონ ობლის  
კვერივით,  
ღამაში დილა,  
ვარსკვლავები ცას ახურებენ.  
გამოკრთის ელვა – ისრად ამურის,  
რიჟრაჟს უხმობენ მამახურები,  
სამოთხის ჩიტთა დგას ჟრიაშული.

1966



\*\*\*

სიკვდილი რაა,  
სიკვდილსაც,  
თაფლნარევ სიტყვა ქართულით,  
მივეყვავილე  
და ვეძმე.  
მოყვარე ღირსეული მყავს,  
მტერსაც ღირსეულს  
დავეძებ.

1966



\*\*\*

ღვთის შვილებმა მზით და მოვარით,  
ბედის მთიებს სდიეს  
ახლებს  
და არფები ცად ასწიეს,  
მაგრამ ვედარ მიეახლენ –  
შენი ფიქრის –  
თვალსაწიერს.

1981



\*\*\*

საწუთრომ თუკი სიკვდილი,  
დროზე არ გამოიმეტა.  
და თუ ვერ დამიტირებენ  
დები:

თეა და ივეტა.

აქ,

რალა გამაძლებინებს,  
მარტოკას,  
ლექსის იმედად.

2004



\*\*\*

ჩაუმქრალი დიდი მნათის –  
ფეხის ხმას გრძნობს  
სანაპირო.

ფერი ადევს ცას –  
ზაფრანის.

ზღვა დასავლით მიხორხოშებს.  
ღამე მთვარის –  
სარაფანას  
და ვარსკვლავთა იხდის ქოშებს.

1970



**ივლისი, მზე და ზღვა**

ელვის ნახევით შუბლშეკრულები,  
გადახვეწილან სადღაც  
ღრუბლები.

წყალი წყურია დიდი სიცხით  
ტუჩგამსკდარ მიწას.

და მდინარეთა ჩანს ღოღიალი.

ვითარცა ბრუნო,

მოგიზგიზე კოცონზე იწვის –

ივლისის მზე და...

ზღვის ველური ისმის ღრიალი.

1961



\*\*\*

შიშის კლდეზე მიჯაჭვული,  
მტერთა რისხვა  
და ტიტანი,  
სურთ უფალთან გაჭიდაონ,  
რადგან ლოდი აიტანე,  
ქვაც აწიე საჯილდაო.

2004



\*\*\*

სიხუმეში,

სადღაც მესი,

ცას აპობდა ელვის თეთრი სოლებით,  
ქარს ტალღები გადაჰყავდა

ხელკავით.

მიმწუხრს მთვარე ჩიბუხივით ეკავა  
და დასავლით ღრუბლებს მიაბოლებდა.

1966



## ართვინი

– გახსოვდეთ, ვისი გორის ხართ,  
თავი უსკდება  
ზარს რეკვით! –  
ვაღაიეთში ართვინის.  
და ისევ ღვსავს ქართველი  
ხმაღს –  
ომით წელში გადრეკიღს.


1993



\*\*\*

დაბადებიდან ღამით გაფისულ –  
ცის კასრში ზიხარ,  
ვით დიოგენი.  
შენთვის წარსული აღარ არის  
და არც მყობადი.  
პოეზიაში რადგან იგემე –  
მწარე ნაყოფი ხისა –  
ცნობადის.

1988



## ფუსტა

კაცის თვალი რას არ ნახავს:  
მწვერვალებზე ადის ღელე!!!  
და ქართველთა ნათეს-ნახნავს –  
    შავი ღამე წააფარონ –  
სურთ აფსუა-ადიღელებს.  
მაგრამ ისტორიის უსტარს,  
    ვინ წაშლის,  
    ვინ მიანელებს.  
ახლაც უხმობს ღმერთი – ფუსტა  
სვანებს –  
    მისიმიანელებს.

1992



**ევა აქ იშვა**

კოლხეთში,

ვითარც ფენიქსი,

ნაცრიდან აღდგა ზღვა,

მზე ცაში აფრინდა,

წყვდიადის ტოტზე რომ ეკიდა.

და ევა აქ იშვა –

პონტოს ლურჯ ქაფიდან,

ადამიც –

ჭყონდიდის ხის დიდი ნეკნიდან.

1959



\*\*\*

ვითარცა გლესკაცს,  
ერთი ღრუბელი,  
          მიაქვს დასავლით  
          ქარს სამხარივით.  
წყდება და წყდება წვიმის სველი  
          თეთრი ძაფები.  
მზე კი დღის ბოლოს,  
          გარჯით დადლილ  
          ნიშა ხარივით,  
ზღვის მლაშე ზვირთებს დაეწაფება.


1976



\*\*\*

ამ წუთისოფლის ამოებას  
დამზერს უფალი  
და აკვირდება,  
მაგრამ რად გინდა,  
ხმას კი არ იღებს,  
თუმცა გულს უჩხვლევს ცოდვის ეკალი:  
საფლავის ქვაზე დაყრილ თარიღებს –  
მშიერი წლები,  
როგორც ჩიტები,  
სულ მარცვალ-მარცვალ ისევ კენკავენ.

1994



\*\*\*

მარადისობა უცებ ატკივდა,  
ასე მგონია  
ბნელ გალაქტიკას.  
როცა მთიები ცას გაიღიმებს,  
ასტროიდსა და  
ირმის ნახტომში  
ვჭვრეტ: ასტრალურს და რაღაც  
მიღმიერს.

1960



## ფრანგული და გველისპირული

ქართველებს მუდამ შემართება ჰქონდათ  
გმირული,

მტერს მიჰკაფავდნენ ფრანგულით და  
გველისპირულით.

დღეს კი ქარქაშში ჩაჭედილა  
“დემოკრატიის”

და დაჰკარგვია სიელვარე და გასაქანი,  
თუმც კარგად ახსოვს ბიზანტია,  
რომი, ქანაანი.

აღარ მიიწევს საბრძოლველად  
იგი ჯიუტად

და საქართველოს საქმე მიტომ  
ცუდად მიუდის,

რადგან ვადაში ჩაჰფრენია  
ამ ხმაღს იუდა.

1993

**ზ ა ზ ი**

საქართველო რომ ღვთისაა,  
დასტურ –

მთვარე ბეჭდად აზის.

კრთება ელვა – ცის მიზრაფი.  
და... ღვთის შვილი არის ვაზი,  
მიტომ მაღლა –

დედისაკენ მიისწრავის.

1980



\*\*\*

მზე დედაა –  
    ღვთის თვალება  
და მზის გარდა რა ვინატრო –  
და ვუგალობ მას  
“ღიღეს”.  
მზეში ვცხოვრობ და ვბინადრობ,  
ვით ბრუნო  
    და გაღიღეო.

1960



\*\*\*

ჰელიოსის რაშების ჭიხვინისგან,  
კოლხურ ცას –  
    კედლები გაბზარვია,  
თუმც უამი წასაქცევად არ იმეტებს.  
ვარსკვლავები –  
    კოლხური კოშკებია აიეტის,  
მთოვარე –  
    ჰეკატეს ტაძარია.

1960



**ხილვა: უკველესი კოლხეთი**

ვექსინის პონტო ისევ მძვინვარებს  
და არ იკარებს ზვირთებს  
ინგირის.

ჯერ აღარ არის მიჯაჭვული კლდეზე  
გმირთ-გმირი

და ვჭვრეტ კოლხეთად მე შუამდინარეთს.  
დის დროდაუამი ნილოსებად და  
ვეფურატებად....

მე, აკაკივით თავაწეული,  
გავცქერი წარსულს  
და წინაპართა ღანდი –  
იმ ხუთი ათასწლეულის  
იქიდან,  
ისევ მეფარფატება...

1963

**გვისმობს ორიონი და  
მერწყული**

36 –

უფლის სულია უსამანო,  
იქ ყოფნის იმედს რომ  
გვითბობს.

გვისმობს ორიონი და მერწყული,  
და სამყაროა ხვითო,  
ბნელი რომ შთანთქავს  
და... მარადის იბრწყინებს.

1971



## არ გხედავ, თვალში მაკლდები

აკადემიკოს რეზო ფაჩულიას

არა ვარ მე იმ გორისა,  
შენი შიშით რომ ვიტყვო,  
პირიქით,

მუდამ დაგეძებ...

არ გხედავ, თვალში მაკლდები.  
ან თავს შეგაკლავ, სიკვდილო!  
ანდა შენ შემომაკვდები.

2001



\*\*\*

უხსოვარ დროიდან ცის ტოტზე –  
ჰკიდია მზე,  
როგორც ტიარა.

მთვარე – თავისთავზე შეყვარებული  
ნარცისია.

სიკვდილი –  
სასრული კი არა,  
მარადიული სიცოცხლის საწყისია.

1962



**ალვები**

ვითარც ცას –  
    მთიები,  
მიჭედლილნი არიან მიწას  
ალვები –  
    ფესვების ღურსმნებით –  
და ასე აღამ-ათენებენ.  
და სულგანაბულნი –  
    ზეციერს უსმენენ,  
მოუხანთ კენწეროთა –  
    ანტენები.

1962



\*\*\*

მშობელი მიწა,  
დე, შეგელიოს,  
მადლა გაჰყვები დილით ჰელიოსს –  
და ქვეყნის ქაოსს  
ციდან დახედავ.  
ღამეები კი ხელს ვერ გახლებენ.  
რა დღეს და რა ხვალ  
წახვალ აქედან  
და ვარსკვლავებზე დაესახლები.

2002



\*\*\*

ჩამოლალულებს მაღალ მთებიდან,  
მრისხანე ცის და ბედის  
მორჩილებს –  
ღრუბლებს, –  
ბღავიან ზვირთთა ფარები.  
ზღვა ერქინება ხმელეთს ყოჩივით,  
ღელვა –  
ქარიშხლის ფრთებს ეფარება.

1972



\*\*\*

გაზაფხულიც მიყვარს და ზაფხულიც,  
მაგრამ ღირსია მოფერების,  
ქარისგან ჯერ ხელუხლები,  
შემოდგომის სახე –  
ოქროსფერი  
და ზამთრის კათქათა  
მუხლები.

1986



## ალაზა ხაიაურს

მთებს ჩუმაღ გამოეპარე,  
მაგრამ ღექსები ხმაურობს:  
ფშავ-ხევსურეთს და  
ჭიხოს.

ალაზა ხაიაურო –  
ჩემო,  
პოეტო ბიჭო!

2002



\*\*\*

დღის თეთრ ტაძარში,  
ვითარცა მნათე,  
ლოცვა-კურთხევით შემოვა მწუსრი,  
ცის საშანდღეში დაანთებს  
მთიებს –  
და გაისწორებს მთოვარის ოღარს,  
ჩამოიმცვრება მირონად ნამი.  
და...  
საუკუნის რა არის სრბოლა,  
– ათასი წელი, ვითარცა წამი.

1964



\*\*\*

არხევს არყოფნის არავი  
შიშს,

გალურჯებულ იების  
და ედემ ბაღის რტოებსაც,  
რომელსაც დამე იტაცებს.  
მე ცაში ვცხოვრობ მთიებთან,  
ათასში ერთხელ ვტოვებ ცას  
და ჩამოვდივარ მიწაზე.

1963



\*\*\*

მახათას მთით გადმოსული  
შავი ნაბდიანი ღრუბლის  
ფთილა,  
მიიხნია ლეკად  
და აღელდა უცებ მტკვარი.  
და კრწანისის ველიც რეკავს –  
ყაყაჩოთა წითელ ზარებს.

1959



\*\*\*

ვარსკვლავნი არა,  
ცნობადის ხეს ცვივა  
ნაყოფი,  
რომლებიც რწმენის კედლებს ბზარავენ  
და მიღმეთიდან გვესმის ძახილი,  
თუმცა წყვილიაღში არ ჩანს არავინ  
და ჩვენ ცხოვრებად ვხმობთ წამიერ  
თვალისგახელას.

1990



\*\*\*

აღბათ მოფრენილი იქიდან,  
მოგეხსავის სახეზად ყვავის,  
ბელი თუ წერამწერალი –  
ადამის მოღვმის თუ ჯიშის:  
სულ მუდამ ფიქრები შავი,  
სულ მუდამ რაღაცის შიში.

1999



\*\*\*

თუმცა დაბერდა,  
მაგრამ მთვარე  
ვითარცა წინათ,  
თავს გრძნობს ჩაუქად!  
და მოეღვარე თეთრ ღუბელსაც  
ვეღარ იცილებს.  
ელვაც ხანდახან თვალებს ჩაუკრავს  
და...  
მთელი ღამე,  
ვარსკვლავების ისმის სიცილი.

1969



\*\*\*

დღეებმა ღამე ჩამოაფარეს  
და ჩვენი წილი მზე  
გადამალეს,  
ჩაქრნენ წუთების ციცინათლები.  
წყვდიადის იქით მოჩანს  
საეალი  
და ვარსკვლავები –  
შორეულ გზას გვინათებენ...

2000



## ორმოცი

ვით დღე და ღამე,  
როს სული და ხორცი იყრება,  
ხორცი აქ რჩება.  
სული ფარულად  
მიდის და მიდის...  
და წყვილადში ნათელს შებღავის.  
რადგან ლეთეში –  
ნავით ქარონის,  
იმ შორეთამდე სავალია –  
ორმოც დღე-ღამის.

2003



\*\*\*

დილაჲ! აინთე სანთელივით,  
ელვით პირჯვარი

გარდაისახე:

უამს რომ დინება ნაყავს მდინარის.

ო, რა ფერმკრთალი მოჩანს

ცის სახე –

უძინარი და ვარსკვლავებით

ნაყვავილარი.

1981



\*\*\*

როცა იქუხებს,  
ასე მგონია:  
გაუნაწყენდა და გაუბრაზდა  
მიცვალებულთა სულებს ჰადესი,  
რომელსაც ლეთე გულმშვიდად ელის.  
და იმ ქვეყნიურ სიდიადეზე,  
ისევ მაფიქრებს  
გაკროთომა ელვის.

1988



\*\*\*

სინათლისკენ გზის გამკვალავი  
წყვდიადი მაინც  
ვერ მოიცილე,  
თუმცა ყოფნის ცის იქით თენდება.  
და ღამეები სივრცეს კალავენ,  
რადაცას განიშნებს მნათობების  
შორი ციმციმი?!

1999



## კოლხეთი

ასე მგონია:

ათა-ბაბადან,

შენ ხარ პირველი,

ვინც ცამ დაბადა.

ვიცი მიდია,

ვიცი ქალდეა,

მე არ ვაკეთებ მათზე არჩევანს.

დრო –

ცარიელი საქალდეა,

ვერ დავადგინე ჟამი შენი –

ქვეყნად გაჩენის.

1960



\*\*\*

მოვარდისფრო ღამის დახლზე,  
ვარსკვლავების დგას  
ბოცები,  
გამთენიის ღვინით სავსე.  
ცას უჭირავს მთვარის თასი  
და ზღვას დამზერს  
გაოცებით.

2001



\*\*\*

ელავენ ელვის ნაჯახები  
და ფიქრისფერი ტყეები –  
მეჩხერი,  
მთვარის იქით დაილანდნენ.  
ვარსკვლავების მოგიზგიზე  
ნაკვერჩხლებზე –  
წევს, ღამეს სძინავს დილამდე.

1977



\*\*\*

ვით ადრე, ახლაც,  
ცას და მიწას შუა,  
არყოფნის ღამაზე ფარდას  
ფენს ნისლი,  
ვაუამ რომ “მთების ფიქრად” ადიდა.  
ჩვენი სიცოცხლე არის ფენიქსი,  
ცით მოფრენილი –  
ღამის წყვდიადიდან.

2002



**მთაწმინდაში წევხარ ახლა**

ვაჟა-ფშაველას

შენი ძელები უამმა დახრა,  
ვით “კოშკები ანატორელთ!”  
მთაწმინდაზე წევხარ ახლა,  
სიკვდილისგან დანატორი.

ძმა მგონიხარ...

წინაპარიც...

და ასევე თანატოლი.

1959



\*\*\*

კაცის ცხოვრება,  
ჩემო,  
უბედურებით სავსე,  
არის პანდორას ყუთი.

მიტომ მისტირი ასე:  
ბრმობით დაკარგულ ედემს  
და ცისებრ მარადიულს –  
არყოფნის ღამაზე წუთებს.

2000



\*\*\*

კოლხური ცის სიანკარე

სვი... და

ღმერთმა შენ შეგარგო,

ვით ნაჟური კოლხურ ვაზის.

ლეგენდებში მომცურავი

შენ ხარ არგო,

რომელიც კვლავ მოუყვება აღმა ფაზისს.

1963



\*\*\*

ქალწულ დილის შესახვედრად,  
უძილობით მთვრალი ღამე,  
მიუყვება გზას –  
ბარბაცით,  
და გრიგალი ახევს კალთებს.  
გამთენიის ცა ცრის ნათელს –  
მთვარის ვეებერთელა საცრით.

1967



**ფიჭვის ხე ბეთანიაში**

მეფობს სიხუმე და სიმარტოვე,  
ვითარც მლოცველთა  
უხმო ვედრება, –  
ტყეს შერჩენია ბეთანია  
მთების ამარა.  
აქვე ფიჭვის ხე ღვას სიცოცხლედ  
ტადრის კედელთან,  
თითქოს სიმწვანედ ცად ააქვსო  
სული თამარის.

2001



\*\*\*

მოულოდნელად როცა იჭექა,  
წამსვე პირჯვარი  
გარდავისახე,  
ჩემი მფარველი უფლის სახელით.  
მერე იქუხა...  
და დააჩნდა  
ცის ღამაზ სახეს –  
გამკრთალი ელვა, როგორც ნახმლევი.

1982



\*\*\*

შორეულზე შორეული,  
როგორც შენი წინაპარი, –  
ხარისთვალა გილგამეში,  
რადგან მოხველ  
ბნელ ღამეში,  
სიკვდილთან ხარ წილნაყარი..

1958



\*\*\*

სანამ ღრუბლები და სივრცეები  
მზის მედალიონს  
გუღს დაიბნევენ,  
მანამ მთიები ელვის სისხარტით  
ზეცას ურტყამენ  
ყვითელ ნისკარტებს,  
რომ გამოტეხონ ღამის სიბნელე.

1962



\*\*\*

მოწყალედ გინათებს იქიდან –  
წინაპრის სული თუ  
    ღამე!  
გიხდება ღმერთებთან დავა.  
ამ ბობოქარი უამის –  
    აღმადინებით მავალს.

1964



\*\*\*

ლაზთა წინაპარ ორფეოსავით –  
ხელთა გაქვს მზის  
და მთვარის საკრავი,  
რომელთა ჰანგებს მარად უსმენდი.  
დღეები ჯვარზე  
მაინც გაკრავენ,  
მწამს –  
ქრისტესავით დაილურსმნები.

2003



\*\*\*

სხვაგან წყვდიადი დუღს ჯოჯოხეთის,  
ამოსავალი საფეხური

არ ჩანს კიბეთა.

საქართველოა ჩემი სამოთხე.

რა დღეს და რა ხვალ

ცაზე იბერთა,

ჩემი ვარსკვლავი უნდა აღმოხდეს.

1960



## გველი

ღღეები –

ღამეებს ელის

ღა აელვარებს მრუმე მთებს.

ფერღობზე წრედ გღია გველი

ღა პირში კუდს იღებს –

ღასაწყისს –

ღასასრულს უერთებს.

1973



**ცხრიდან  
უფროს ძმას –  
ვალერიანს**

დღეები სიკვდილის საცრით,  
ჩვენს ყოფნას –  
უჩუმრად ცრიდა...  
და ახლა, აქ მოსულთ ცხრიდან,  
სუთ ძმას –  
იმჟვეენად სძინავს.  
რა ვქნათ!  
აქ ოთხი დავრჩით:  
მე და შენ, მარგო და ზინა.

2002



## მთეპი

ხელში ქათქათა თოვლის არზებით,  
ასე კარგები და  
ლამაზები –  
სიმაღლეებად ცაში ასულან.  
და ქართველის მთეპი –  
ბუმბერაზები,  
ჩემი სამშობლოს დგანან წარსულად.

1979



\*\*\*

ზღვის მიმოქცევას რომ უთვალთვალებს  
მადლიდან,  
თითქოს და მთა –  
ორბია.

ქარიშხლის ხმას რომ გაიგონებენ,  
შიშველ-ტიტველი  
ღურჯი ტალღები,  
ვითარც ბიჭები და გოგონები,  
მადლა ნაპირზე ამორბიან.

1988



\*\*\*

ლოდინის კარზე მესმის კაკუნი,  
ეს ალბათ,  
მომადგა სიბერე,  
წელში მოხრილი და სნეული.  
მაინც მიხარია,  
ჩემს ციცქნა სიმღერებს,  
სამყარო მუჭაში,  
რომ ჰყავთ მომწვედელი.

1999



## მთები და ზღვები

იბანს და...

მაინც აწუხებს

ქართველის ცას მნათთა წილები.

და ქარზე ეჭვიანობენ:

ზღვები –

თმაგაწეწილები,

მთები –

მხარბეჭიანები.

1966



\*\*\*

მზის შვილი მარად მზისკენ  
ვილტვოდი,

ჩემს ლამაზ დღეებს ედგათ  
ტაროსი,

მაგრამ მზემ ახლოს არ მიმიკარა,  
და მე დავმარცხდი,  
ვით იკაროსი.

და აი, ახლა, ვარსკვლავების  
ოქროს სავარცხლით,

ცა –

ჩემს ღამეებს ქოჩორს უვარცხნის.

1990



## მაღალ საბუდრებს არწივთა

ვაჟა-ფშაველას

ხელში უჭირავთ ფშავის მთებს

ჩარგულა,

როგორც ფანდური,

“ახსაკუნებენ” შენს ხსოვნას!

და ხმაში ცრემლი ერევათ –

მაღალ საბუდრებს არწივთა.

ო, ამ სიმაღლეს –

მთაწმინდას,

ვაჟავ!

შენსავით მგოსანი, ოდეს თუ შეეფერება.

1962



## თორსაში

მერე გვიან ღამემ თორსის,  
როს ფიალა მთვარის  
    მოსვა,  
მოვარდა და ქარმა მთები დაარბია.  
აი, ახლა,  
ელვით დახნულ ცის მინდორზე,  
ფესშიშველა ვარსკვლავები გადარბიან.

1958



\*\*\*

უსასრულობის იქით,  
მზეები,  
მყოფ სხვა პლანეტებს ვეღარ ათობენ.  
და ღამით შიშის ქრიან ქარები.  
ცის სიშორეში ყრია  
მნათობნი,  
ვით დინოზავრთა ნაფლოქვარები.

1960



\*\*\*

როცა შური და ათასი თვალბედითი,  
არ გშორდება და შორიდან  
          გითვალთვალებს,  
რა ძნელია სიმაღლე და სიმარტოვე.  
და როდესაც “იქმნა ნათელ!”  
          პარნასს აველ,  
ვით ჰერმესმა მოკვდაობა მივატოვე!

1993



\*\*\*

დღე კვლავ მისდევდა ღამის  
ნაკვალევს,  
მზე იყო,  
მაგრამ მაინც ბნელოდა.  
საქართველოს ცის ლურჯი თაღები,  
რამდენი ხანი  
ჩუმად ელოდნენ,  
შენს ჯვარზე გაკვრას და...  
ამაღლებას...

2001



\*\*\*

რადგან ყოველი არის ამო,  
ვჭერებ,  
რომ წარსულში  
ტომი საგების,  
რწმენას და ხატებს ცეცხლში წვამენ  
და აალებენ.  
ღვთის ტაძარი კი არის ნაგები,  
არ მითებით,  
მლოცველების თავის ქალებით.

1984



\*\*\*

წეროებივით ერთურთს მწკრივად  
რომ მიჰყვებიან,  
არავინ იცის სამყოფელი,  
აქეთ ჩავლილთა.  
მიიკლაკნება გზა შორეთში,  
როგორც იქედნე.  
ცას დამხობილი წინაპართა  
თავის ქალიდან,  
დიდი ხნის მერე,  
ვარსკვლავებმა გამოიხედეს.

1994



\*\*\*

დღეებმა,

თაფზე რომ დაჰკვივიან,

სასაფლაოებს ტირილი კი

ველარ ასწავლეს.

ნაძვის ხეები ჩხვლეტენ ხსოვნას

მწვანე ნემსებით.

ჩამავალი მზის ცრემლით ევსება –

ხარბი თვალები ზღვას

და დასაველეთს.

1986



\*\*\*

სინათლის იქით გარდახვეწილნი,  
მოგონებებში ძლივს  
დალოდავენ –  
ჩვენი ძვირფასი მკვდრების ღანდები.  
და არ აწუხებთ არავითარი –  
არფის ქვითინი,  
მოთქმა ყორღანის  
და ცრემლნარევი კვნესა კითარის.

1963



\*\*\*

დამის კუბოში ჩაასვენებს მზეს  
ჰელიოსი  
და აივსება ვარსკვლავებით  
ცის ოაზისი.  
იკივლებს დაღატს მეფის ასული  
და გადაუვლის კოლხეთს –  
ფაზისად,  
მოოქროვილი მოგონება –  
გარდასულის.


1966



\*\*\*

მთვარულივით საცალფეხო ბილიკს  
მიჰყვები,  
რადგან ქაოსში ყოფნას  
გიშლიდნენ  
/ საბედისწერო თვეა ენკენის /.  
მოყვასის ცრემლით დაიბეკნები,  
დაგეუფლება აწლა  
სიმშვიდე –

2004



\*\*\*

ლეღვის ტოტებზე დაბუდრებულნი –  
ანხლი მამლები  
როს გამძაფრებით  
დაარისხებენ ზარებს მესამედ.  
ზეცას ყივილის  
ოქროს ძაფები  
და ვარსკვლავები ამოკემსავენ.

2000



\*\*\*

ამდენი დარდით,  
ვით აიეტი,  
დალეულა და მთვარეც მიმქრალა,  
აბოდებს პონტოს –  
ბედი ქალწულის.  
წუხს მედგაზე ზღვა მოფიქრალი  
და ცა კოლხეთის –  
აწ ლოდინით გადაქანცული.

1962



\*\*\*

ტოტებზე სიმწვანე მიმჰკნარა,  
ყვავილობს ფერები ზაფრანის.

ქარები,

ფოთლების ნავებს კვლავ

არწევენ.

სხედან დღეები ლოდებზე საფლავის  
და შლიან ხსოვნას და...

წარწერებს.

1962



\*\*\*

ჩამოვიღიან ზამთრის ქარები  
და მოხუც ხეებს,  
თავის ასაკით,  
ჩაატარებენ ხელში აყვანილს,  
პროტესტის ნიშნად  
ისმის ყაყანი,  
ვეღარ აჩუმებს თოვლი ვასაკებს.

1976



\*\*\*

მთვარის ქვაზე ნალესი,  
ქართველის ცას მიბჯენილი –  
კოლხურ შუბის წვერივით –  
ბნელში ელავს მყინვარი.  
წევს თოვლის სარეცელზე მიწა –  
მთებით ორსული.  
სადღაც ადამის მოღვმის ისმის ხმა  
გამყივარი,  
არყოფნიდან –  
ყოფნაში  
სატანჯველად მოსულის.

1961



\*\*\*

უცებ ჩამოჰკრა ჟამმა მიზრაფი,  
ვერ მოასწარი უკან მოხედვა,  
ყოფნის კედლები უკვე

იქცევა.

და სიბნელეში წამიერად  
რადგან მოხვედი,

დიდ სინათლეში კვლავ  
მიიქცევი.

2004



\*\*\*

ცისკრის ზარებზე,  
მაღალ მთებიდან,  
ღრუბლების ფარა გადავიდა  
და გაიღალა, –  
ცის უდაბნოში მზის ჩამკეტავი.  
სასაფლაოზე რომ წამოდგა,  
ნისლის ფთილაა  
თუ სული არის,  
სულ ახლახან მკვდარი ნეტარის?!

1993



\*\*\*

მოფრინდება და წუხილი –  
ფიქრებს ფრთებს გაჰკრავს  
ფრთოსნურად,  
გულში ვარდად რომ მიევავის:  
იქნებ სულაც არ  
მოესულვარ,  
იქნებ... აქ მუდამ ვიყავი.

2000



\*\*\*

ოქროცურვილი ვარსკვლავებით  
ადიდებული,  
ღამის ნაპირზე კვლავ გადმოქუსს  
მოვარის ჩქერალი,  
ვეღარ აკავენს უსამანო სივრცის  
კედლები.  
და, ღმერთო ჩემო,  
გეაჯები  
და გევედრები,  
დამტოვე ასე –  
საქართველოს ცას მაცქერალი.

2002



\*\*\*

შენი მტერიც და მოყვარეც,  
იცი,  
ჩუმად ქედს რომ უხრის  
                  (ვითარც ადრე,  
                                  აი, ეხლაც),  
შენი სიტყვის ჭეჭა-ქუხილს,  
შენი ლექსის მეხოთა-ტეხას!

2004



## ტირიფები ყულევთან

აქ,  
ყულევთან,  
გარდასულთა ტირის ხმები,  
რომ აურჟოლებს სანაპიროს  
ქვიტკირიანს  
და სივრცეებს ღრუბლებად რომ  
ედებიან.  
სობისწყლის პირ –  
თმაგაშლილი ტირიფები,  
შვილწაგვრილი ჩემი კოლხი  
დედებია,  
თურქეთისკენ მავალ გემს რომ  
მისტირიან.

1961



\*\*\*

ლოდს გადასწევს და ლაზარე  
წამოდგება ისევ მკვდრეთით  
/ჟამი მოვა მათა დრეკის/  
და მოუსმენს დედო-ზარებს,  
იმ ქვეყნიდან –  
გადმორეკილს.

1981



\*\*\*

ხელთ გიპყრია მყინვარწვერი  
ლამპარივით,  
ქართულ სიტყვის მთაგორებზე  
მოჯადოქრობ,  
მოგდევს ხმები ქუჩის,  
დეკას და იასი.  
ქვასა და ლოდს ხელს ახლებ და  
აქცევ ოქროდ,  
ვით ფრიდიის მეფეთ-მეფე მიდიასი.

1988



\*\*\*

ზღვა ვერ ისვენებს,  
დეღავეს და შფოთავს,  
რადგან ხმელეთი შეხვედრას უშლის.  
ღამეს და მანძილს მიიციონის  
“თბილისი-ფოთი”,  
და ღიანდაგი ხელებივით წინ აქვს  
გაწვდილი,  
სურს რომ შავი ზღვა ჩაიკრას გულში.

1970



\*\*\*

სამოსელი უფლის გმოსავს,  
დამის უფსკრულებში  
მჭკრეტელს,  
უკვდავების მირონს აკმევ –  
შენს ფანტომებს.  
ახალ სივრცეს უჭრი სარკმელს,  
სიცოცხლე რომ მოანდომე.

2001



თემისტოკლე

რა ვქნა,

“კოლხური ფსალმუნებით”,

დღე-ღამის ბრუნვას

ვერ ვცვლი.

რადგან სოფელი არის მოკლე,

“აიღე ოქრო და ვერცხლი”,

შოორეულ წარსულიდან მომკივის

თემისტოკლე.

1964



\*\*\*

ცა – ვატერლოს ველია და  
ყრია ვარსკვლავი,  
ვითარცა ფრანგთა ჯაჭვ-მუზარადი,  
მომხდურთ შიშის ქარს უყენებდა  
და რომ ზარავდა.  
იყვნენ მებრძოლნი და ბოლომდე  
უნდა ეომათ  
(ბევრიც აოტეს და აძუნძულეს...)  
დრუბელი რომ ჩანს –  
ის ელენეს არის კუნძული,  
შუბლშეჭმუხვნილი მთოვარე კი –  
ნაპოლეონი.

1959



\*\*\*

წამიერად მიწის სტუმარს,  
მარადიულ ცის ბინადარს,  
ღვთის წინაშე ბრალი გიძევს:  
რომ ნათელში გეძინა და  
სიბნელეში გაიღვიძე.

2001



\*\*\*

მწუხრისას, მწუხრის ვარსკვლავნი,  
სახეზე რომ იფარებენ  
ნისლეულს,  
თითქოს ჩადრია –  
სინათლედ ცად ასულების.  
ღრუბლები ზღვაში ჩადიან,  
რომ აიყვანონ ლაქვარდში,  
წყალში დამხრჩვალთა სულები.

1963



\*\*\*

ჩემი ჯიში და ჯილაგი –  
დაუთვლელი და ულევო,  
აქ რომ სიცოცხლედ ჰყვაოდა,  
ახლა დამ-დამით ბრწყინავენ –  
მათი ნათელი სულები –  
ცის შავი სასაფლაოდან.

1999



## ღამე ცაში

ცა იძრა...

შეტორტმანდა სივრცე  
და ცვივა ღრუბლების  
ნანგრევები...

ხევი-ხევ გარბის მოვარე,  
ამირანივით ფიქრით რომ  
შეეგები.

მიბრიალებენ საცრისხელა თვალებს –  
ვარსკვლავები –  
ცხრათავიანი დევები.

1963



\*\*\*

ეპა,


პოეტო!

ისევ იღუმაღ,

ყოფნა-არყოფნის მიღეულ კართან,  
თუკი გადასწევ საწუთროს ფარდას,  
შენ დაინახავ:

გლოვის ლოგინზე წამოწოდიღ  
სიკვდილს  
ინახად.

2000



**ჩამავალი მზის ოქროს  
პორფირი**

ეს მერამდენე მიიღია  
ათასწლეული,  
კოლხთა წარსული –  
აქედან რომ იქით იურვის –  
ჩამავალი მზის ოქროს პორფირით.  
და მიაქვს ხმები –  
ამქვეყნიური,  
ადამის მოდგმის –  
პირველყოფილის.

2004



\*\*\*

ვაჟაე! –

გალობით ფრთოსნების,

უკვდავებისკენ მიყავხარ

მთებს –

ბუმბერაზებს ხელკავით.

და... ჩიტებივით, მგოსნებიც,

მაგ შენი ჩოხის კალთიდან –

დაცვენილ ფინჩებს კენკავენ.

1962



\*\*\*

(საქართველო)

ჰე,

მგოსანო!

ვითარ უძღვებ,  
ამდენ ოხრას და ვაებას –  
ლისს აქეთ და...

იქით ღიხად.

ვინ შთაბერა უკვდავება,

სულ პატარა, მუჭა თიხას.

1964



**ვარსკვლავიანი ღამე**

არსაიდან ხმა ჭექა-ქუხილის,

საადრო ღრუბლების

მიმწყდარა ბოგინი.

კრიალი გააქვთ ზღვას და

ცის მუშამბებს.

წელს ზემოთ შიშველი მთვარე

იოგივით –

წევს ვარსკვლავების დამსხვრეულ

შუშაზე.

1972



**ჰემა-ქუხილი ღამით**

მნათობთა ნათეს-ნახნავი

იყოფა ცად –

ნაკვეთებად;

ბუნებაც აღარ ახანებს

და სივრცეს ურუოლად ედება –

ქუხილის ფართა ჯახანი

და ელვის ხმალთა კვეთება.

1970



\* \* \*

მარადისობის ჯვარზე გაკრული,  
მიღმური სული  
მეტაფიზიკის,  
გასახარად და შენდა იმედად –  
ისე ახლოა,  
როგორც ქიზიყი,  
როგორც მარიხი და ანდრომედა.

1959



\*\*\*

ჯოჯოხეთიდან გამოპარული,  
ძარცვად და გლეჯად  
ქვეყნად მოსული,  
თავხედები და ასე ურცხვები –  
ქარები –  
ზღვებს რომ დააორსულებს,  
წამსვე ეზრდებათ საწყლებს მუცლები.

1960



\*\*\*

შეყრის უფალი ღრუბლების წარბებს  
და მოქათათე ფიქრების

ელვით,

მოუვლის უინი სამყაროს მოვლის.

მერე მიწაზე მადლივით ნელა,

ღვთის სისპეტაკედ

ჩამოვა თოვლი.

1963



**2000 წლის 28 თებერვალი**

ჩქარი ნაბიჯით წასვლა თებერვლის,  
მარტის დღეებსაც გაუკვირდებათ.

ყვავის ბახალით,

ძერის ქარდებით,

შეაფრინდება აპრილს კვირტები

და ზამთრის შიში

კვლავ განქარდება.

2000



\*\*\*

სასაფლაოზე თუთარჩელა  
დადის და ყვავილებში  
იძირება.

მკვდრის სულებს უყევენ ძაღლები.  
უამია –  
ღვთისმშობლის მიძინების  
და მერე –  
ცადამაღლების.

2000



## ხსოვნის ღერს მიუკმევ

“მთავრობის” სახლის წინ,  
როდესაც გავივლი,  
ვჭკვრებ: ყვავილები რომ  
სისხლისფრად დაუღაუებს  
და... იქვე მდგარ ლოდზე –  
ხსოვნის ღერს მიუკმევ:  
ახლახან აქ უღვთოდ დაცემულ  
ქალ-ვაჟებს  
და ადრე –  
კოჯორთან დაღუპულ იუნკრებს.

1989



\*\*\*

სანაპიროზე ცა და სიმშვიდე,  
ჭიქა წყალივით დგას  
    კვლავ ნაკლული,  
რადგანაც მეხი სადღაც ახველდა.  
თვალეზდათხრილი ღამე  
    მზის ჯოხს მიაკაკუნებს,  
მიდის აღსავლით –  
    დღის შესახვედრად.

1960



\*\*\*

შავ არავგთან დევებივით,  
ჩამომჯდარან შავი მთები  
და ჯიხვების რქის ჯახანით  
ნაყრდებიან.  
თეთრად რომ ჩანს –  
ის მთვარე და ვარსკვლავები,  
წინაპართა –  
ცად ნაგები საყდრებია.

1959



## რედუტკალე

დაუმალავთ ცა კოლხური –  
ვარსკვლავების ღრიანკალებს,  
კოლხთა ხმები და აფრები –  
სდევენ არგოს შავ ნაკვალევს.  
ბუკებით და დაფდაფებით,  
მიაცილებს რედუტკალე\*.

1959

---

\* რედუტკალე – ყულევი



\*\*\*

დაგვდევს აჩრდილი მეფისტოფელის,  
სიბნელით გვაგსებს

ღამე – ავსული.

და ყოფნა ხდება ბუნაგი მხეცთა.

თუმც ყოველივეს აქვს

დასასრული,

უსამანოა არყოფნის ზეცა.

2001



\*\*\*

გამთენიისას ღრუბლებმა,  
აღაზნის ველზე გაშალეს –  
    ნისლების კარავ-საჩეხი.  
და მერე ცაზე მთიები,  
ვით ვაზი შაჰის მსტოვრებმა,  
    ელვის ცულებით აჩეხეს.

1964



\*\*\*

მიწას აყრუებს ჰელიოსის  
ეტილის ხმაური,  
ნათელი წყლიადს აღარ მორჩილებს  
და ფეხზე დგომით ცა –  
გადაღლილა.  
მამლის ყივილის კუდამოხრილი,  
ღამე შუკაში მიწკმუტუნებს  
ნაცემ ძაღლივით.

1958



\*\*\*

მზე არ ჩანს,

მაგრამ მისი სხივები,

ელვით დაღამებულ ღრუბლებს  
არღვევენ.

ცაზე კიდია გაცრეცილი ნისლის  
ნაჭერი.

მოვა ქარი და ღაშუბდაღრენილ  
ზვირთების რაშებს –

ზღვის ქვაბიდან ამოაჭენებს.

1997



\*\*\*

ოპიზარების ხატად მოჭედილ –  
საქართველოს ცას  
სხივებს მატებენ:  
(სარკოფაგებში მზედ რომ ინთება)  
საფირონები და  
აქატები,  
იასპები და იაკინთები.

1959



\*\*\*

მოკედავებს არ გვწყალობს უფალი,  
რაც ცეცხლი მოსტაცა  
პრომეთემ.

ცაც ცივი გახდა და უნდობი:  
წყვეტს და წყვეტს სიშორეს –  
კომეტებს.

1967



**1907 წლის 30 აგვისტო**

ლოდს მკერდზე იცემდა მცხეთასთან

არაგვი,

მტკვარი წიწამურთან მკვდარივით

დიოდა,

თუმცა შორი გზა ედო სავალი.

“იღია მოკლესო! –“

თბილისს გაჰკიოდა,

კვამლის თმაგაწეწილი ორთქლმავალი.

1966



\*\*\*

“ნათელხილვა” და “იქმენ ნათელი!”

გზას გინათებენ...

მაგრამ ბევრი დაგრჩა უთქმელი

და მიტომაა შენს აქ ყოფნას –

ცას რომ შეჰკივი.

და სამშობლოზე ლოცვა-კურთხევით –

მადლა,

უფალთან რომ მიიწევ

მუხლმოდრეკილი.

1992



## წინათგრძნობა

ადრე თუ გვიან,  
დაუკითხავად,  
კარს მომადგება და სულს მომთხოვს  
ძველი მევალე  
და დედის “ნანად” ჩამესმება  
სიტყვები ხისტო.  
ჩემი საფლავის ლოდზე,  
მერმე, ვითარც ნერვალის –  
ეპიტაფია აბრწყინდება:  
“განვლე და რისთვის?!”.  
1964



\*\*\*

სისხლის და ცრემლის ზღვაში –  
მოკვდავებით და  
მზით სავსენი –  
მიცურავს სიცოცხლის გემი.  
ყოველდღე ერთურთს  
მივასვენებთ,  
ესაა –  
სიცოცხლე ჩვენი.

2003



\*\*\*

დაღუმებული ველი არესის  
და ღამე მაღავეს შუბებს  
აღესილს.

მედეას,  
ემმა დალატისთვის ისევ  
აქეზებს.

და იგმანება სიევარულით –  
გულის კარები.

ღრუბლის შავ ნაჭერს აიფარებს  
მთვარე სახეზე.

არ ჩანს ჰელიოსს,  
ვარსკვლავები ცას მწუხარებენ.

1987



\*\*\*

ღღე –

ღამეს მისდევს,

საუკუნე, სდევს საუკუნეს,

ცა ვარსკვლავებით კვლავ იკვირტება.

და დიდ ომებში

სულ სხვა დიდებით,

მოკვდა პირველი

და მეორეც ხელში გიკვდება.

შენ, იმ მესამე ათასწლეულს

გაეხიდები.

1995



## ბანშორეზა

დგება სიჩუმე და სიმარტოვე,  
ნაცნობ-მეგობრები  
ნელ-ნელა მტოვებენ  
და დარდს უსიტყვოდ მიახლოებენ.  
მე კი კუბოში ვწევარ ჩუმად  
და ვიღურსები,  
რადგანაც დამეს მაჭედავენ  
თავზე ლურსმნებით.

2000



\*\*\*

მეფობს ცაში და არსთაგამრიგე  
სიცოცხლეს გვანიჭებს,  
ვით გვანიჭებდა,  
ზოგს ბევრს და ზოგს მცირეს  
გვამყოფინებს.  
და ვდგავართ მის მაღალ კარიბჭესთან,  
ამქვეყნად ყოფილი და  
არყოფილი.

1989



\*\*\*

ცეცხლით,  
ომებით,  
დალატით და გაუტანლობით,  
საუკუნენი უამთა ტოტზე,  
ვითარ დახრილან  
და... მაინც ჩემი დაკარგული  
კოლხი ასულის  
შოორეული მესმის ძახილი, –  
სევდანარევი,  
უსამანო და უსასრულო.

1960



\*\*\*

აქ ისევ სდუმან!!!

მაგრამ ღვთის ნებით,

შენი სახელის ისმის

ქუხილი.

ჩრდილო პოლუსზე,

იქით –

არქტიკის.

და ეფერება ჯერაც უხილავ,

უცნობ სფეროებს

და გალაქტიკებს.

1999



\*\*\*

ზღვისკარად მდგარი –  
ჩემი კოლხეთის  
წარსულის ხილვა  
ისევ მოდიდა  
და წყალს ჩასცქერის,  
როგორც ნარცისი.  
რიონის პირას რომ ჰკიდია  
ტოტზე ჭყონდიდის,  
ჩამავალი მზე არის თუ...  
ოქროს საწმისი?!

1962



\*\*\*

ვითარც იზიდა

და ნეფერტიტი,

ცაო,

მიზიდავ,

მზეს, რომ შემპირდი.

1967



\*\*\*

გარდასულ ჟამთა ქვაზე ნალესი,  
უუძველესი სიტყვა –  
ფხიანი,  
ოქროდ ნაწერი ტყავზე კირბების  
არ წაიშლება,  
არ დაირბევა  
და მიძინებულ კოლხთა წარსულს  
ახშიანებს.

1970



\*\*\*

წვიმები ნისლებს რეცხენ და  
ლურჯ ფერდობებზე ჰფინავენ,  
მაგრამ ღრუბლის თუ მერცხლების  
    ჩრდილი ეცემა ნამცეცი.  
ღრუბლებს კი ლანდი გაუღით,  
    ამდენი რეცხვით გაცრეცილო.

1985





\*\*\*

გავიდა სამი ათასწლეული,  
რომ ჩემი პონტო  
გლოვობს მედეას  
და აცვია შავი ძაძები.  
ვიღაცა ჰკივის:  
ესეც ბედია!  
და ჭირსაშიგან უნდა გაძლება.

1978



## სული

პირველ არსებას,  
პირიდან რომ სული აღმოხდა,  
თითქოს ჩასახლდა იგი ჩიტების  
ჭიკჭიკში ანდა ხმაში ვერძების...  
და ჰა, მას მერე მირიადი მოკვდავთ  
ამალა,  
ექებს და ექებს...  
ახლაც ექებენ,  
მაგრამ ვერა და ვერ აგნებენ  
სულის სამალავს.

1979



\*\*\*

ჩამოდგა ღამე მებრძოლ კოლხივით  
და მნათთა რვალი

ტანზე აისხა.

შეკრთა მთვარე და ცად აფრინდა,  
როგორც თოლია.

ვეღარ ისვენებს,

ბორგავს შავი ზღვა, –  
დარდი მედეაზე, ძილში ჩაჰყოლია.

1966



## არ ჩანს ქრისტე

წყვდიადი რომ გაგვინათოს,  
რომ დაგვპირდა,  
არ ჩანს ქრისტე  
და არც ზევისის ჩანს არწივი.  
აქეთ არა,  
იქით მივსდევთ,  
სიკვდილს ჩვენსას –  
ხელგაწვდილი.

1980



\*\*\*

დღეები უნდა აკინძო წიგნად,  
ჩადო ზონარად –  
ცხოვრების აზრი,  
რომელსაც ადრე წერდი და ხევდი.  
საწუთროს მტვრიან  
და მოკლე გზაზე,  
ცნობადის ხიდან –  
განკითხვის ხემდე.

1964



## შორია გზა იაკუტიის

ჩემს ახლო მეგობარს –  
ნიკოლოზ ლუგინოვს,  
მწერალს და ჩუქჩების მეფეს  
უგვირგვინოს,  
მიყავარ...

შორია გზა იაკუტიის,  
ირმების მარხილში ვზი კატის კნუტივით.  
ღამეა,

რა ხდება ვერავინ გაიგებს,  
თოვლის იდუმალებით დაწერილ ტაიგებს.  
თუმც ბოშურ სიმღერებს,  
მღერიან უბოშოდ,  
ნენცები და ესკიმოსები.

წევს მთვარე –

ვარსკვლავთა დაჭედილ კუბოში,  
ცა-პატარძალივით თეთრით იმოსება.

1983



\*\*\*

ვითარცა წუთისოფელი,  
იცვლება ცა და ამინდი,  
ცხოვრება ათასს, –  
    ცოფს აშლის.  
მარადიული გზა მიდის  
ყოფნიდან –  
    იმ არყოფნაში.

1996



## შენი წიგნები

ათასწლეულთა ზარაფხანებში,  
მგოსნის ფიქრი რომ  
დააგირაონ,  
ბელტთა ყაყანში შარას იგნებენ...  
და ფრთებგაშლილი შენი წიგნები,  
მეცხრე ცის იქით,  
სილაუვარდეში,  
უცხო ყივილით ჰკრავენ ირას.

1990



\*\*\*

შორიდანაც ჩანს აშკარად,  
რომ ვარსკვლავებით  
დახუნძლულ,  
ქართლის ცას, ვითარც დიდებას,  
უშბა,  
თეთნული  
და შხარა,  
რომ უდგას კარიადიტებად.

1964



\*\*\*

ქალწული ღამე უნანავებს  
მთვარის მარაოს,  
წუთისოფლიდან ადრე წასულებს.  
მათი ხსოვნაა – მწვანე ალოე,  
მათი სულია –  
ვარსკვლავები ცაზე ასული,  
მარადისობად რომ დაცქერენ  
სასაფლაოებს.

1964



\*\*\*

სიკვილისფერ სიხუმეში –  
წოლით დადლილ –  
დაქანცულმა,  
შეიცვალა ალბათ გვერდი.  
ასე ვფიქრობ,  
როცა ვნახავ  
ლოდს, საფლავზე გადაფერდილს.

1982



\*\*\*

ზვირთებში როცა გაიღვიძებს  
ხმა ორფეოსის  
და ცა წარსულის –  
ვარსკვლავებით ამოკემსილი,  
ელვით როდესაც გაინასკვება,  
მაშინ შედეას გაიხსენებს  
პონტო ევქსინის  
და ცრემლთა ნთხევით ნაპირს  
ასკდება.

1986



\*\*\*

რომ ვეღარ ვიხილოთ –  
აქ ყოფნის ქაოსი,  
სიბრმავედ მოწვეთავს ქებაფი –  
მამლის ყივილიდან,  
ძაღლის ღაღღავიდან.  
და მოსვლის დღიდან –  
არყოფნა გვეძახის,  
სურს გაგვიყვანოს სიცოცხლის  
ღამიდან.

1989



\*\*\*

ჯაქვებორიას შორი ძახილი  
გამოაღვიძებს ზვირთებს  
და შეშლის,  
ზღვის მარგალიტა შეურყევს ფუძეს.  
მერე მიმწუხრის მთოვარის  
ეშვით,  
გამოუფატრავს ორსულ ცას მუცელს.

1959



\*\*\*

დღეებს, ვით მწვერებს შემოგვასევს და  
ცხოვრების ტყიდან გამოგვრეკავს  
უამი –

მარეკი.

ატირდებიან ჩვენი სიზმრები.

მერე ცისკრისას,

ჩვენი წასვლის ზარი დარეკავს  
და არყოფნაში გავიხიზნებით.

2001



\*\*\*

ცად გაფანტული თეთრი ღრუბლები,  
თითქოს და არის უფლის  
ცხოვრება.

ცივა და...

დამე ნისლეულით

კვლავ იმოსება.

ვარსკვლავთა კოცონს მიფიცებებიან  
და ფრთებს ითბობენ ანგელოზები.

1960



## ფოთოლი

ნაპირებ ოდნავ მოთოვლილი,  
ყინვის ფერადი მინით  
შემინული.

ციცქნა გუბეში გდია  
ფოთოლი.

კარდიოგრამა –  
ჩემი გულის.

1958



## ანანურთან

იქ –

ანანურთან,

წყლის პირ მთები წამოწოლილან  
და უდევთ ღოდთა თავსასთუმალი.  
“მორბის არაგვი, არაგვიანი...”

მზე,

ქართველივით იქნებ შერჩა სადმე  
პურმარილს,  
რადგან არა ჩანს...  
და ამოსვლას რომ აგვიანებს.

1959



## კომეტი

ცის სიჩუმეში დათარეშობენ,  
თვალებს ხუჭავენ,  
თვალებს ახელენ.  
ენტებიან და ისევ ქრებიან.  
და საკუთარი თვითმკვლელობებით –  
ცასა და მიწას ემუქრებიან.

1993



\*\*\*

პონტოს პირას –  
აფსუა რომ დაპარპაშობს,  
ის კოლხეთი –  
დედამიწის არის საშო  
და არასდროს უწერია დაობება.  
და კოლხეთის ჭაობები –  
კოლხ დედათა თვალებიდან  
ნაწვიმარი ცრემლებია,  
ასეულმა წელმა რომ ვერ ამოაშრო.

1993



\*\*\*

სამოთხიდან გაძევების,  
ისევ ისე ეძებს მიზეზს,  
შურით მოვრალი დღე –  
მყობადის.  
უსახელოს თვალით მიმზერს,  
წარსულიდან ხე –  
ცნობადის.

1968



\*\*\*

ქარი უბერავს და ნაკვერჩხლებით  
მზე,

ცის ვეება ბუნარს ასურებს.

დღეს –

ცისარტყელის ადევს ურდული.

მოდის სიმწვანე და გაზაფხული –

ოდის აივანს ავსებს

ელურტული.

1978



\*\*\*

როცა ზვირთების ისრებს მოზიდავს,  
ღრუბლებს დააფრთხოვს ქარი –  
აშარი.

გემებს ბოლაზში მიმაღავს პორტი.  
ცის სიმყუდროვეს ღამე –  
ფრთაშავი,  
ნაღვეა მთვარის ნისკარტით კორტნის.

1969



## მთაწი

სახლისოდენა ლოდები

ცვიუა...

ელვა –

ქუხილს მისდევს.

წევლიადში მთებიც დაიძრნენ.

აღბათ ერკინება ქრისტეს,

ამირან დარეჯანისძე.

1960



\*\*\*

ერთი ციდა მოვარე ისევ,  
ცრის სიმშვიდეს,  
ვითა ცრიდა...  
ქარს ტყე მიაქვს რია-რია.  
და დილაძღე ვისმენ ციდან –  
ვარსკვლავების ზარის წკრიალს.

1969



\*\*\*

პოსეიდონის ეტლის ხმაურზე,  
ღურჯი ზვირთები –  
ცად აქოხრილი.  
ძირს ცვივიან და უცებ კვდებიან.  
ზღვა რომ ცოფსა ჰყრის,  
ურჩხულია თავებმოჭრილი,  
მდინარეები –  
ზღვის კუდებია.

1970



სარჩეპი

წინასიტყვაობის მაგიერ.....5

\*\*\* თავს დაჰბრუნავდა ჟამთა .....25

\*\*\* აყვავებული ღამის.....26

\*\*\* ალბათ ტიტანი ბრაზობდა .....27

\*\*\* გზებით და ბილიკებით.....28

\*\*\* გზა შორია .....29

\*\*\* მითებით და ლეგენდებით .....30

\*\*\* პოეტი და დიდი ბავშვი.....31

პოლ კლოდელი.....32

\*\*\* წამით ანთებულ .....33

ფენიქსივით მოფრინდები .....34

ენგურთან .....35

\*\*\* ლეგენდები, როგორც დაღის.....36

\*\*\* ცა გაქვს.....37

\*\*\* ვარსკვლავების დეღვას .....38

\*\*\* მიმოყრილ ქვებზე .....39

უიტმენი და თავორი.....40

\*\*\* ღრუბლების ჯოგის.....41

\*\*\* გადაუქროლებს საუკუნეებს.....42

\*\*\* ბადრის.....43

***	მიაქროლებენ მათა .....	44
***	ღამეებივით შავი.....	45
***	ურარტუელ ხელმწიფის.....	46
***	ზღვის და ქაოსის .....	47
***	მსურს პირისპირ .....	48
***	ტალღების უროს სცემდა.....	49
***	პალმის მარაოს.....	50
***	თუ პოეზიის ქედები.....	51
	ჰომეროსს და პინდარეს .....	52
	ათი ცა.....	53
	ქარიატელ ქარიტებს.....	54
***	ჩემო.....	55
	მთები და მდინარეები .....	56
	კოლხეთის პირველი მეფე.....	57
***	სანაპიროზე.....	58
***	მხრებზე აყრია .....	59
***	მაღალი და მაღლა მხედი.....	60
***	კოლხეთის ცის .....	61
***	მამულო!.....	62
	როდესაც ვდებდით წმინდა .....	63
***	პოეტობა რომ დავიბრალე.....	64
	წინაპრის ლანდი.....	65
***	გამოენთება ღრუბელს .....	66

*** ჯერ არ აცვია.....	67
ევას ხმა არის .....	68
ფოთში .....	69
*** სინათლის ტორებს .....	70
*** ქალწულებივით აშოლტილები.....	71
*** აქ.....	72
*** ხართ თუ აღარა.....	73
*** მაღალ მთებიდან .....	74
იაზონი “კუტაიაში”.....	75
*** ღელვის მინდვრები .....	76
*** არა .....	77
*** ჯეკეს წინ დამბა .....	78
დავითფერული .....	79
*** ცის ბუნაგისკენ მიძუნძულებენ .....	80
შატილი.....	81
*** სიხუმე და სიმარტოვე .....	82
*** სულმოუთქმელად.....	83
*** უსიყვარულოდ მზეც .....	84
*** თიბათვის დამეა თოვლივით .....	85
*** შოორეულ.....	86
*** ქართველების ერთად .....	87
*** ასე იყო ათასი.....	88
ადგას ნათელი .....	89

*** მიმოფანტავენ ნაცარს.....	90
*** სიკვდილი რაა.....	91
*** ღვთის შვილებმა მზით.....	92
*** საწუთრომ თუკი.....	93
*** ჩაუმქრალი დიდი მნათის.....	94
ივლისი, მზე და ზღვა.....	95
*** შიშის კლდეზე მიჯაჭვული.....	96
*** სიჩუმეში.....	97
ართვინში.....	98
*** დაბადებიდან ღამით.....	99
ფუსტა.....	100
ევა აქ იშვა.....	101
*** ვითარცა გლეხკაცს.....	102
*** ამ წუთისოფლის.....	103
*** მარადისობა უცებ.....	104
ფრანგული და გველისპირული.....	105
ვაზი.....	106
*** მზე დედაა.....	107
*** ჰელიოსის რაშების.....	108
ხილვა: უძველესი კოლხეთი.....	109
გვიხმობს ორიონი და მერწყული.....	110
არ გხედავ, თვალში მაკლდები.....	111
*** უხსოვარ ღროიდან.....	112

აღვები .....	113
*** მშობელი მიწა.....	114
*** ჩამოღალულებს მაღალ .....	115
*** გაზაფხულიც მიყვარს.....	116
აღაზა ხაიაურს .....	117
*** დღის თეთრ ტაძარში .....	118
*** არხევს არყოფნის .....	119
*** მახათას მითით.....	120
*** ვარსკვლავნი არა.....	121
*** აღბათ მოფრენილი.....	122
*** თუმცა დაბერდა .....	123
*** დღეებმა ღამე ჩამოაფარეს.....	124
ორმოცი.....	125
*** დილაგ! აინთე.....	126
*** როცა იქუხებს .....	127
*** სინათლისკენ გზის .....	128
კოლხეთი .....	129
*** მოვარდისფრო ღამის.....	130
*** ელავენ ეღვის .....	131
*** ვით ადრე.....	132
მთაწმინდაში წევხარ ახლა.....	133
*** კაცის ცხოვრება.....	134
*** კოლხური ცის სიანკარე.....	135

*** ქალწულ დილის.....	136
ფიჭვის ხე ბეთანიაში.....	137
*** მოულოდნელად როცა.....	138
*** შორეულზე შორეული.....	139
*** სანამ ღრუბლები .....	140
*** მოწყალედ გინათებს .....	141
*** ლაზთა წინაპარ .....	142
*** სხვაგან წყვდიადი დუღს .....	143
გველი.....	144
ცხრიდან უფროს ძმას.....	145
მთები.....	146
*** ზღვის მიმოქცევას .....	147
*** ლოდინის კარზე მესმის .....	148
მთები და ზღვები .....	149
*** მზის შვილი მარად მზისკენ.....	150
მაღალ საბუდრებს არწივთა .....	151
თორასში.....	152
*** უსასრულობის იქით.....	153
*** როცა შური და ათასი.....	154
*** დღე კვლავ მისდევდა .....	155
*** რადგან ყოველი არის .....	156
*** წეროებივით ერთურთს.....	157
*** დღეებმა.....	158

*** სინათლის იქით.....	159
*** ღამის კუბოში ჩაასვენებს.....	160
*** მთვარეულივით საცაღფეხო.....	161
*** დეღვის ტოტებზე.....	162
*** ამდენი დარდით.....	163
*** ტოტებზე სიმწვანე .....	164
*** ჩამოივლიან ზამთრის.....	165
*** მთავრის ქვაზე ნაღესი.....	166
*** უცებ ჩამოჰკრა ჟამმა.....	167
*** ცისკრის ზარებზე.....	168
*** მოფრინდება და წუხილი.....	169
*** ოქროცურვილი.....	170
*** შენი მტერიც და მოყვარეც.....	171
ტირიფები ყულევთან.....	172
*** ლოდს გადასწევს .....	173
*** ხელთ გიპყრია.....	174
*** ზღვა ვერ ისვენებს.....	175
*** სამოსელი უფლის გმოსაგს.....	176
თემისტოკლე.....	177
*** ცა-ვატერლოს ველია.....	178
*** წამიერად მიწის.....	179
*** მწუხრისას, მწუხრის.....	180
*** ჩემი ჯიში და ჯილაგი.....	181

ღამე ცაში.....	182
*** ეჭა.....	183
ჩამავალი მზის ოქროს პორფირი.....	184
*** ვაჟაჟ!.....	185
*** (საქართველო).....	186
ვარსკვლავიანი ღამე.....	187
ჭექა-ქუხილი ღამით.....	188
*** მარადისობის ჯვარზე .....	189
*** ჯოჯოხეთიდან გამოპარული.....	190
*** შეყრის უფალი.....	191
2000 წლის 28 თებერვალი .....	192
*** სასაფლაოზე თუთარჩელა.....	193
ხსოვნის ღერს მიუკმევ .....	194
*** სანაპიროზე ცა.....	195
*** შავ არაგეთან.....	196
რედუტკალე.....	197
*** დაგედევს აჩრდილი.....	198
*** გამთენიისას ღრუბლებმა.....	199
*** მიწას აყრუებს.....	200
*** მზე არ ჩანს.....	201
*** ოპიზარების ხატად.....	202
*** მოკვდავებს არ გვწყალობს.....	203
1907 წლის 30 აგვისტო.....	204

*** “ნათელხილვა” და.....	205
წინათგოდნობა.....	206
*** სისხლის და ცრემლის.....	207
*** დადუმებულა ველი.....	208
*** დღე.....	209
განშორება.....	210
*** მეფობს ცაში.....	211
*** ცეცხლით.....	212
*** აქ ისევ სდუმან!!!.....	213
*** ზღვისკარად მდგარი.....	214
*** ვითარც იზიდა.....	215
*** გარდასულ ჟამთა.....	216
*** წვიმები ნისლებს რეცხენ.....	217
*** აღარ აკარებს ცივ ნიაგს.....	218
*** გავიდა სამი.....	219
სული.....	220
*** ჩამოდგა ღამე მებრძოლ.....	221
არ ჩანს ქრისტე.....	222
*** დღეები უნდა აკინძო წიგნად.....	223
შორია გზა იაკუტის.....	224
*** ვითარცა წუთისოფელი.....	225
შენი წიგნები.....	226
*** შორიდანაც ჩანს.....	227

*** ქალწული ღამე.....	228
*** სიკვდილისფერ სიჩუმეში .....	229
*** ზვირთებში როცა.....	230
*** რომ ვეღარ ვიხილოთ .....	231
*** ჯაქვაბორიას შორი ძახილი.....	232
*** დღეებს, ვით მწვევრებს.....	233
*** ცად გაფანტული თეთრი.....	234
ფოთოლი.....	235
ანანურთან .....	236
კომეტები.....	237
*** პონტოს პირას .....	238
*** სამოთხიდან გაძევების .....	239
*** ქარი უბერავს.....	240
*** როცა ზვირთების ისრებს .....	241
მთაში.....	242
*** ერთი ციდა მთვარე .....	243
*** პოსეიდონის ეტლის .....	244



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 44

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 44

გამომცემლობის  
რედაქტორი – ლილე დოღბაია  
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე  
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღვინჯიანი  
კორექტორი – იზოლდა კვიციანი  
კომპიუტერული  
უზრუნველყოფა – ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com